645
1992

ISSN 0321—1509

# საქართველოს ქალი



9 • 1992

საქართველოს რესპუბლიკის ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:

მარიკა ბარათაშვილი,
ნაზი თარგამაძე,
ლია კაკაბაძე (პასუხისმგებელი მდივანი),
ნაზი კილასონია,
ლაშა კიკალეიშვილი,
გუჩა კვარაცხელია,
ნანული ცაგარეიშვილი,
ცინარა ტერელაძე, (მხატვრული რედაქტორი),
ირმა ჩოფიკაშვილი,
ნინო ჯავახიშვილი,
ეთერ ჯაფარიძე.

ტექრედაქტორი ნანული ბუკია

გარეკანის პირველ გვერდზე — დავით იაკობაშვილის ფოტოეტიუდი

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“. თ. კოსტავას ქ. № 14.

„Sakartvelos Kali“
Georgian Woman
a Magasine for Women of the Republic of Georgia

# რატომ ეჩქარებათ ექიმებს ომში?

## ინტერვიუ აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრთან ქ-ნ მერი ჯანგველაძესთან

**ეს ინტერვიუ პირველია. რომელიც აფხაზეთში ქალს ჩამოვართვი. ჟურნალისტთა, ვთქვათ ასე, ფრონტისპირა ამქარში მტკიცე და ურყევი აზრი ჩამოყალიბდა — ქალს ამ ომში არაფერი ესაქმება. მართლაც, სუსტი სქესის წარმომადგენელთა დრო და დრო აქ გამოჩენა დაახლოებით ისე აღიქმება, როგორც სამხედრო გემზე ქალის ასვლა, ანუ როგორც არაჩვეულებრივი შემთხვევა.**

**ომის უზარმაზარ მექანიზმთან, უშუალო საქმე რომ ჰქონდეთ, ისეთ ქალებზე მოგახსენებთ, თორემ გაჭირვებული, სახლკარდაქცეული, გაუბედურებული, დახმარების სათხოვნელად, შვილის ამბის გასაგებად სარდლობასთან, მეთაურებთან, მთავრობის ხელმძღვანელობასთან მოსული ქალბატონები ნებისმიერი ომის სამწუხარო ატრიბუტია.**

**ალბათ ვინმე ოდესმე დაუბრუნდება ქალთა თემას ეთნოკონფლიქტებში, ამ ჯერ კიდევ გაუთვითცნობიერებელ ფენომენს. მაგრამ ეს იქნება ხვალ. დღეს კი, აკი ვთქვი, პირველი ინტერვიუათქო ქალთან სპეციალურად ჟურნალ „საქართველოს ქალისათვის“.**

ოცდაოთხ სექტემბერს გაგრაში აფხაზთა და ჩრდილოეთ კავკასიელთა დიდ შემოტევას ელოდნენ მთელ დღეს. 12 საათზე სოფელ კოლხიდაში 5 სომეხი მოკლეს, იქაური მაცხოვრებლები. სახლები დაუწვეს ქართველს, სომეხს, აფხაზს.

16 საათზე შემოგვიტიეს. ომი იყო გააფთრებული, საშინელი. ორი შეტევა მოიგერიეს ჩვენებმა.

პირველი ცნობა: 8 დაჭრილია, 3 მძიმედ. საღამოსკენ 17-მდე იზრდება დაჭრილთა რაოდენობა.

ამათ ახლა უნდა შველა, და უშველიან.

დაუჯერებელია, მაგრამ ფაქტია, აფხაზეთის კონფლიქტში მძიმედ დაჭრილთა გადარჩენის კოეფიციენტი საქართველოს სამედიცინო სამსახურს უკეთესი აქვს, ვიდრე ამერიკის შეერთებული შტატების მედიკოსებს ვიეტნამის ომში.

რამ განაპირობა? ფრონტის ხაზის სიახლოვემ სტაციონართან, მაგრამ არა მხოლოდ ამან. აი, ყველა დანარჩენზე ვკითხოთ ქალბატონ **მერი ჯანგველაძეს,** აფხაზეთის ჯანმრთელობის დაცვის მინისტრს, ალბათ, ერთადერთ (ან ერთ-ერთ) ქართველ მინისტრს, ვისი მოხსნაც არძინბამ ვერ მოასწრო.

— დაჭრილები თითქმის ყველა რეგიონიდან შეუფერხებლივ გამოგვყავდა და გამოგვყავს ჯერ სოხუმში, მერე თბილისში. ოპერატიული მუშაობა ამ შემთხვევაში გადამწყვეტია. ექიმთა მაღალი კვალიფიკაცია თავისთავად იგულისხმება.

**— თუ დაკვირვებიხართ, დანაკარგის დინამიკა როგორია?**

— პირველ დღეებში დაჭრილთა და გარდაცვლილთა რიცხვი მატულობდა, მერე კლების ტენდენცია იყო თითქოს, ხოლო მას შემდეგ, რაც მოსკოვის ხელშეკრულება კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგების შესახებ ძალაში უნდა შესულიყო, თითქმის გაორმაგდა.

**— რატომ? თქვენ ბევრს დადიხართ წინა ხაზზე, და ალბათ საკუთარი მოსაზრებაც გაქვთ ამასთან დაკავშირებით.**

— ექიმებს იმდენი საქმე და იმდენი პრობლემა გვაწუხებს, რომ სხვა საკითხების ანალიზის დრო აღარ გვრჩება. მაგრამ მაინც გეტყვით, რომ მიზეზი, რასაკვირველია, მიღწეულ შეთანხმებათა შეუსრულებლობაა და კიდევ ის, რომ მშვიდობიანად კონ-



ფლიქტის მოგვარება, ჩანს, მოწინააღმდეგე მხარეს თავის დამარცხებად მიაჩნია და შურს იძიებს სწორედ ახლა, როდესაც რაღაც იმედი გაჩნდა: დამარცხებულის მოწყობილი პროვოკაციებია.

**— ორივე მხარის დანაკარგების მიხედვით ამბობთ ამას, ქალბატონო მერი?**

— დიახ. ეს ომის კანონზომიერებაა: გიტევენ — იგერიებ. გესვრიან — ესვრი. 3 ოქტომბერს ოცი დაჭრილი და 2 დაღუპული იყო; მომდევნო სამ დღეში — 20 დაჭრილი, 5 დაღუპული, 7-ში — 28 დაჭრილი, 2 დაღუპული, 8-ში — 29 დაჭრილი. 7 დაღუპული და შემდგომაც ეს ტენდენცია გაგრძელდა.

კვლავ და კვლავ ვუბრუნდებით ამ ციფრებს. ირკვევა: მონაცემები, რასაკვირველია, ორივე მხრიდანაა, მაგრამ მოწინააღმდეგის დანაკარგების გადამოწმების საშუალება ჩვენს ექიმებს, ცხადია, არა აქვთ. თანაც: ეს სტატისტიკა სამედიცინო სტაციონარებიდან მიღებულ ცნობებს ემყარება, რაც არ არის და არც შეიძლება იყოს საკმარისი სრული სურათის შესაქმნელად — ყველა დაჭრილი ან დაღუპული საავადმყოფოში არ მიყავთ. ეს განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიიდან შემოსულ დაქირავებულებს ეხებათ. წინა ხაზზე ყოფნისას ჩვენს მეომრებს არაერთხელ გაოცებით უთქვამთ: — დაჭრილებს ბრძოლის ველზე ტოვებენ, მით უფრო დახოცილებს, თუმცა იარაღი მიაქვთო. ზოგჯერ აფხაზებს უთხოვიათ კიდეც ქართველებისთვის: — ნეიტრალურ ზონაში ჩვენი მკვდრები რომ ყრია, ესროლეთ და დაწვითო.

ერთი სიტყვით, ეს ტრაგიკული სტატისტიკა საკმაოდ მიახლოებითია, მაგრამ საკმარისია საიმისოდ, რომ ქალბატონმა მერიმ ასეთი დასკვნა გააკეთოს: — სამწუხაროდ, ქართველთა მხრიდან მეტია დაჭრილი და დახოცილი.

შეიძლება ასეცაა. მაგრამ მოვა დრო და სრულყოფილად გაანალიზდება ყველა მოვლენა, ყველა ტენდენცია. ამიტომ ეს დასკვნაც წინასწარ ინფორმაციად ჩავთვალოთ.

**— ქალბატონო მერი, რამდენადაც ვიცი, აფხაზეთის სამედიცინო საზოგადოებაში კონფრონტაცია არ ყოფილა.**

— დიახ, ასეა. ჩვენს ბრიგადებში აფხაზეთში მცხოვრები ყველა ეროვნების წარმომადგენელია. სამედიცინო დახმარება რომ ყოველთვის განურჩეველი და ერთნაირია, ამაზე, ალბათ, არც ღირს ლაპარაკი.

იმ დღისთვის აფხაზეთში ომში 190-მდე დახოცილი და 860 დაჭრილი იყო. 24 სექტემბერზე მოგახსენებთ, ისიც დილისთვის, მერე კიდევ დაემატება, სამწუხაროდ. ისევ წაეწყობა ექიმების თეთრი ღამეები. თუმცა ასე ცხოვრება აქ უკვე ნორმაა და არავის მიაჩნია განსაკუთრებულ თავდადებად. თუ სიტყვა ამ თემაზე ჩამოუგდე, საუბარში არც აგყვებიან. ქალბატონი მერი კი გეტყვის:

— ამ უბედურების ჟამს რა უნდა გაგიხარდეს, მაგრამ, წარმოიდგინეთ, რომ ფრიად სასიამოვნო რამ ხდება: შობადობა გაიზარდა, განსაკუთრებით, გალში, სხვაგანაც, და ძალიან ბევრი ბიჭი დაიბადა მშობლების გასახარად.

მშობლები, მეომართა მშობლები, — შიშნარევი სიამაყით რომ ცხოვრობენ, ჩამოხმენ და გატიალდნენ. ბიჭები რომ ურეკავენ დრო და დრო აფხაზეთიდან, კარგად ვართო, მაინც არ სჯერათ. მერე ცრემლიანები მივარდებიან ჯერ თბილისის აეროპორტში, მერე საავადმყოფოში დაჭრილთან, შვილთან. გაწამდა ხალხი.

**— მშობლებთან ხომ არ გქონიათ კონტაქტები?**

— მხოლოდ ტელეფონით. მაგრამ მე სხვა რამეს გეტყვით. ჩვენთან, სამინისტროს შტაბში ხშირად მოდიოდნენ გვარდიელები და თბილისში დარეკვას გვთხოვდნენ. და ყველა, მოლაპარაკებულებივით თავიანთ მშობლებს ეუბნებოდა, რომ არიან ფოთში, ქუთაისში, სამტრედიაში. უმალავდნენ, არ აღელდნენო.

**— გიჭირთ ამ სიტუაციაში მუშაობა? ხანდახან მაინც თუ გაგახარებთ რაიმე.**

— ქალს, რა დაგიმალოთ, უჭირს, მაგრამ თავს მაინც ვართმევთ...

ამასწინათ ოჩამჩირედან ვერტმფრენით 7 მძიმედ დაჭრილი წამოვიყვანეთ. მიხაროდა, რომ 7 ვაჟკაცი სიკვდილს გამოვგლიჯეთ და რომ მოვარჩენდით კიდეც. ეს არის და ეს.

* * *

აქ დამთავრდა ჩვენი საუბარი. იყო 24 სექტემბრის 16 საათი და 30 წუთი და სოხუმში პირველად მაშინ გავიგეთ, რომ ქართველთა პოზიციებს არნახული გააფთრებით შემოუტია მოწინააღმდეგემ.

მერი ჯანგველაძე სასწრაფოდ დაგვემშვიდობა: ხომ იცით, რატომ ეჩქარებათ ექიმებს ომის დროს.

**არმაზ სანებლიძე,**

**სოხუმი-თბილისი.**

**რედაქციის მინაწერი:**

**სანამ ჩვენი ჟურნალის ეს ნომერი მკითხველთან მივა, მანამდე, იმედი გვაქვს, ბევრი რამ შეიცვლება უკეთესობისაკენ. ღმერთმა ჰქნას, ჩვენს მშვენიერ აფხაზეთში მშვიდობა დამკვიდრდეს.**

**თუ ჩვენ ამ მასალას გთავაზობთ, ეს მხოლოდ გულისტკივილია და სურვილი იმისა, რომ ამიერიდან არცერთმა დედამ — არც ქართველმა, არც აფხაზმა, შვილზე შავი არ ჩაიცვას და რომ ექიმებს კვლავ ეჩქარებოდეთ თავის მშვიდობიან სამსახურში და არა დაჭრილებთან — ომში.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „მინდა მაგდალინელივით განვიწმინდო..."

აღსარება



მამადავითობას უამრავი ხალხი ესწრება. წელსაც ბევრი სტუმარი ჰყავდა მთაწმინდას. სანთელი და სეფისკვერი ეზოში იყიდებოდა და კარგა ხანს ვიდექი რიგში.

— მაგდალინელის ხატი ყოფილა ამ ეკლესიაში და როგორ მივაგნო ამდენ ხალხში? — ჩაილაპარაკა ჩემს წინ მდგომმა ახალგაზრდა ქალმა.

—გვერდითი შესასვლელიდან, ხელმარჯვნივაა მაგდალინელის ხატი, — მივასწავლე.

— ნეტავ თუ მართლა არსებობდა მაგდალინელი?

— სახარებაში რაც წერია, ყველაფერი სიმართლეა.

— და მართლა განიწმინდა ასეთი ცოდვილი ქალი?

— განიწმინდა, ისე განიწმინდა, რომ მკვდრეთით აღმდგარი მაცხოვარი პირველად მას გამოეცხადა;

— ნამდვილად გჯერათ? — იჭვით შემომხედა.

— იცით, რატომ გეკითხებით? მინდა, დამარწმუნოთ, მინდა, მეც მჯეროდეს განწმენდის, მინდა ...მეც განვიწმინდო! — ბოლო სიტყვები ძლივს ამოღერღა და გვერდზე მიიხედა.



არაფერი მითქვამს, არც შემიხედავს, ჩუმად დაველოდე საუბრის გაგრძელებას.

— საიდან დავიწყო, არ ვიცი, ის კი მახსოვს, რომ ერთ დროს მეც ვიყავი ამაყი და კეთილი. ახლა კი დამცირებული და გაბოროტებული ვარ.

... ყაზახეთის ერთ-ერთ ინსტიტუტში ვსწავლობდი. ჩემმა მშობლებმა იქ მომიხერხეს მოწყობა. ჩემთან ერთად სწავლობდა ერთი ხაშურელი ბიჭი. კარგი გარეგნობა ჰქონდა და ვგრძნობდი, რომ მოვწონდი. მეც მეტი რა მინდოდა, შემიყვარდა. მოხდა ისე, რომ ქორწინებამდე დავფეხმძიმდი. იმ თვეებში გელას მშობლები ჩამოვიდნენ. ჩემმა საქმრომ გამაცნო თავისიანები. სადედამთილო ცივად შემხვდა. კოპებშეკრულმა შემომხედა რამდენჯერმე. თითქოს თვალმა შეაკრთოო, ჩემი შვილი პირველად მაშინ შეფართხალდა მუცელში. მათი წასვლის შემდეგ გელას ვეღარ ვცნობდი, გამირბოდა, ლექციებსაც აცდენდა. მალე მშობლებმა აკადემიური აუღეს და ხაშურში წაიყვანეს. ისე წავიდა, ჩემთვის არაფერი უთქვამს. შვიდი თვის ფეხმძიმემ სახლში მივაკითხე. შენს შვილზე რას ფიქრობ — მეთქი. — რა ვიცი, ჩემიაო? — მიპასუხა. ნერვიულობისაგან ნაადრევად ვიმშობიარე, ბიჭი შემეძინა. ჯანმრთელი დაიბადა ის ცოდვის შვილი, მაგრამ მე უარი ვთქვი დედობაზე. მამამისზე გამწარებულმა ჯავრი ბავშვზე ვიყარე. ახლა კი ვნანობ, ძალიან ვნანობ, მაგრამ რაღას ვუშველი, ბავშვი გაუშვილებიათ. ყველაფერი გვიანაა. წელან ახალშობილი იესო ქრისტე რომ ვნახე ღვთისმშობლის კალთაში, თვალთ დამიბნელდა, ჩემი შვილიც ასეთი თოთო და უსუსური იყო, — ცრემლები შეიმშრალა და განაგრძო: ჩემს გამო დედაჩემს ასთმა დაემართა და მალე გარდაიცვალა. მამამ ერთი წელი იგლოვა დედა და მერე ცოლი მოიყვანა. დედინაცვალმა თავიდანვე შემიძულა: აქაოდა, სახელგატეხილიაო. ნატკენი გული ცხოვრებაზე კიდევ უფრო ამიცრუვდა. ხელი ჩავიქნიე და მძვყევი ცხოვრების დაბნეულ გზებს. ვინც ხელი დამიქნია, იმასთან გავათიე ღამე. არსად ვმუშაობდი და ერთი ხანობა სასტუმროებშიც დავდიოდი. ფულს ვშოულობდი. ჩაცმა-დახურვა არ მაკლდა და საზღვარგარეთის ქვეყნებში სიარული. სხვებს ზემოდან დავუწყე ყურება და მეგონა ეს იყო ნამდვილი ცხოვრება, ვიდრე ერთ დღეს, თითქოს უმიზეზოდ, მოულოდნელად სული არ ამიწრიალდა. ვიგრძენი, რომ საძაგელი ვიყავი. საკუთარი თავი შემზარდა. ჯერ თვითმკვლელობა დავაპირე, მაგრამ ვერ შევძელი. უფრო სწორედ, მივხვდი, სიკვდილი სირცხვილს ვერ ჩამომირეცხავდა. ამიტომ აღარ გადავდგი ეს ნაბიჯი. მერე მაგდალინელი გამახსენდა, თუმცა ყველაფერი ლამაზი ზღაპარი მეგონა. არ ვიცი, როგორ გითხრათ, ძალიან მინდა, მეც განვიწმინდო, მომცილდეს ის სირცხვილი, რომელსაც ადრე ვერ ვგრძნობდი.

... ცრემლიანი თვალები დაბლა დახარა, გაირინდა.

— ხელი აღარ შემიშლია, ვიგრძენი, თვითონ უნდა ეპოვა ძალა ხელი ეკრა უღირსი წარსულისათვის.

კათარზისი იწყებოდა.

ნანა დავითაშვილი




# შეცდომა, რომელიც ცხოვრებას ამახინჯებს

3

სამეცნიერო თუ პოპულარულ ჟურნალებში, სხვადასხვა ავტორთა სტატიებში სექსუალური საკითხებისადმი მიდგომა სხვადასხვაგვარია და ყოველი მათგანი თავისებურად საინტერესოა; ზოგის აზრით სექსი ინდივიდის თვითდამკვიდრების უმნიშვნელოვანესი სფეროა, ზოგი მას მიიჩნევს, როგორც „ერთადერთ საჩუქარს“, „უკანასკნელ ნავსაყუდელს“ ამ „უსახურ და სტანდარტულ მსოფლიოში“, ზოგი კი მას განიხილავს, როგორც გართობას, სპორტს, თამაშს და ა. შ. ხანდახან ის ერთგვარი პროტესტის გამოვლინებაც კია.

მაგრამ როცა საქმე ეხება მოზარდთა სექსუალობას, აქ ყველა განსაკუთრებულ სიფრთხილეს იჩენს. რადგან „ჰუბერტატული პერიოდი“ (სქესობრივი მომწიფება), რომელიც 12 წლის ასაკიდან 16-17 წლამდე გრძელდება, ის პერიოდია, როცა ილვიძებს ლიბიდო (სექსუალური ლტოლვა) და ხდება მოზარდის პიროვნებად ფორმირება. ამდენად, ეს „გარდამავალი პერიოდი“ დიდად განსაზღვრავს არა მარტო მოზარდის, არამედ უკვე მოზრდილი მამაკაცის თუ ქალის შემდგომ სექსუალურ (და არა მარტო სექსუალურ) ქცევასა თუ ორიენტაციას.

ფროიდი მიიჩნევდა, რომ თითქმის ყველა ფსიქოსექსუალური პრობლემა თუ სიძნელე დეტერმინირებულია ბავშვობისდროინდელი „ტრავმებითა და განცდებით“. ხოლო, როგორც ამერიკელი მწერალი უოლპოლი აღნიშნავდა, ბავშვობის პერიოდის ტრაგედიები მუდმივია.

თუ ეს მართლაც ასეა, ბავშვობას განსაკუთრებული გაფრთხილება სჭირდება, რათა უმტკივნეულოდ და უტრავმოდ ჩაიაროს გარდამავალი ასაკის ტკბილ-მწარე პერიოდმა და ამით ადამიანს საშუალება მიეცეს ნორმალურ (დაუკომპლექსებელ) პიროვნებად ჩამოყალიბდეს.

იყო დრო, როდესაც ჟურნალებიდან და გაზეთებიდან კალმოსნებს ომი ჰქონდათ გამოცხადებული მოზარდთა სექსუალურობის ყოველგვარი გამოვლინებისადმი. გუვერნანტთა და აღმზრდელთა მთელი არმია მოწოდებული იყო, რათა მოზარდებში ჩაეკლათ თვით ელემენტალური (სექსუალური) მოთხოვნილებანი, მაგ. 1850-80 წ.წ. ბავშვთა ონანიზმთან ბრძოლამ ისეთი მახინჯი ფორმები მიიღო, რომ საქმე ქირურგიულ ჩარევამდე (კასტრაციის ჩათვლით) მიდიოდა.

გადიოდა დრო და მიუხედავად სექსუალური მორალის ლიბერალიზაციისა, მოზარდთან დამოკიდებულება თითქმის არ იცვლებოდა. პრესაში ხშირად იპოვიდით სერიოზულ მსჯელობებს იმის შესახებ, თუ რა შეიძლება შევთავაზოთ ბავშვებს „მის ნაცვლად“. ამგვარ „ჯადოსნურ გადამრჩენლებად“ ზოგს სპორტი, აერობიკა, ზოგს გაძლიერებული სწავლა, შემოქმედებით წრეებში დასაქმება ესახებოდა... და როგორც ყოველგვარ უკიდურესობას სჩვევია, ამ შემთხვევაშიც პრობლემა თავდაყირა დგებოდა...

საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

ალბათ უაზრობაა ადამიანს შესთავაზო ძილი, როცა სწყურია, ან ჰაერი საკვების ნაცვლად, რადგან შეუძლებელია ორგანიზმის ერთი ფუნქცია შეცვალო მეორეთი, ნორმალურად ყოფნისათვის ისინი სრულ ჰარმონიაში უნდა მოქმედებდნენ. როცა პროფესიონალ სპორტსმენებს ჰკითხეს, თუ რის გაკეთებას ამჯობინებენ ხანგრძლივი და დამქანცველი ვარჯიშის შემდეგ, ყველამ ერთნაირად უპასუხა: — ვილებ შხაპს, ვახშმობ და მივდივარ „ჩემს გოგოსთან“... ასევე აღმოჩნდა, რომ „სექსუალური პრობლემის“ არმქონე გათხოვილი გოგონების აკადემიური მოსწრება უფრო მაღალია... ასე რომ, ე. წ. „პედაგოგიური რეცეპტები“ საკმაოდ არაეფექტურია.

ჩვენ ასევე შორს ვართ იმ აზრისაგან, რომ თუ სექსუალური მანიაკი „დეკამერონის“ კითხვისას რაიმეს ჩაიდენს, ამაში ბოკაჩოს დაედოს ბრალი... მაგრამ ერთი კი ფაქტია, ე. წ. „სექსუალური თავისუფლების“ მონაპოვარის — პორნოგრაფიის მოზღვავებამ (მოზარდების მასთან შეხების გაიოლებამ), პრობლემის გაღრმავებას უფრო შეუწყო ხელი, ვიდრე მის მოხსნას. გაუთვითცნობიერებელი მოზარდის ლაბილური ფსიქიკა, (ემოციური არამდგრადობა) არ აღმოჩნდა მზად „მხედველობითი ეროტიზმის“ (პორნოჟურნალები, ვიდეო ფილმები) „შედევრების“ აღსაქმელად. სოციოლოგთა და ფსიქოლოგთა დაჟინებული მტკიცებით, ამან მოზარდთა სექსუალური აქტიურობის ზრდა გამოიწვია მისგან გამომდინარე მძიმე შედეგებით.

ამდენად, ჩვენ განვიხილეთ მოზარდთა სექსუალობისადმი ორი (უკიდურესი) მიდგომა, და თუმცა „სექსუალური ნორმის“ დადგენას თან ახლავს სპეციფიკური სიძნელენი, რადგან აქ ერთმანეთზეა გადაჯაჭვული ბიოლოგიური, პიროვნული და ეთიკური ფაქტორები, გააზრებული მიდგომით სავსებით შესაძლებელია გამოინახოს რაღაც საშუალო, რათა თავიდან იქნეს აცილებული „ცხოვრების დამამახინჯებელი შეცდომები“. სექსოლოგები და ფსიქოლოგები ერთ-ერთ ასეთ შეცდომად მიიჩნევენ ნაადრევ (სქესობრივი მომწიფებისთანავე) სექსუალურ კონტაქტებს, რომელსაც ნეგატიური ასპექტით გამოყოფენ; კერძოდ, როგორც ვიცით, ადამიანის ემოციურობა ვითარდება წლების განმავლობაში, ცხოვრებისეული გამოცდილების შესაბამისად. დაბადებისთანავე ბავშვი სწავლობს სიყვარულს მშობლებისაგან, ახლობლებისა და მეგობრებისაგან. პუბერტატული პერიოდისათვის მოზარდის ფიზიკური განვითარების დონე (12 წ. ასაკიდან შესაძლებელია სექსუალური ლტოლვის რეალიზება) წინ უსწრებს ემოციურს. მას ჯერ კიდევ უჭირს მყარი ემოციური კონტაქტების (მეგობრობა, ერთგულება, თავდადება და ა. შ.) დამყარება ე. წ. „სიყვარულის დეფიციტის“ (ვისოცკაია) გამო. ამიტომაც სექსს ისინი განიხილავენ არა როგორც ძლიერი ემოციის — სიყვარულის შედეგს, არამედ, ისეთ სიამოვნებას, როგორიცაა საინტერესო ფილმის ნახვა, გემრიელი ნუგბარის მირთმევა, სიგარეტის მოწევა და ა. შ. ამ დროს სიყვარულის გრძნობა დაიყვანება „გენიტალურ სიყვარულამდე“. (გენიტალი — სასქესო) და უმეტეს შემთხვევაში მას ნამდვილ გრძნობამდე ამაღლება არც უწერია. წლების მერე ასეთი ადამიანები „ჯდებიან“ პროფესიონალი მექალთანის ან მეძავის ცხოვრების სტილში და სულიერ ხეიბრებად ქცეულნი სიცოცხლეს უმწარებენ საკუთარ თავსაც და სხვასაც, რადგან ამგვარ სიყვარულში, რომელმაც თამაშისა და სპორტის უფლებები მოიპოვა, დიდი რაოდენობითაა — შეჯიბრი, ძალადობა, უხეშობა, ცბიერება, ანგარება და ა. შ.

ამდენად, სქესობრივი მომწიფების მიუხედავად ნაადრევი სექსუალური ურთიერთობების დაწყება სულაც არ ნიშნავს პროგრესსა და ცივილიზაციას აუწყო ფეხი, პირიქით, ის ცხოვრების ნორმალური პროცესიდან ამოვარდნა უფროა. უამრავი გართულებების გამო ეს ფაქტი თავის უარყოფით დაღს ასვამს არა მარტო პიროვნებას, არამედ ოჯახს, შთამომავლობას, საზოგადოებას...

რაც შეეხება ამ პრობლემის ფიზიკურ მხარეს, აქაც — სექსუალური ცხოვრების პირველ ხანებში დამახასიათებელია მაღალი აგზნებადობა, რაც გამოიხატება ხშირ სექსუალურ კონტაქტებში, გარკვეული დროის შემდეგ კი დგება ფაზა მოყირჭების. ამ პერიოდში სიყვარულით ღარიბი და ემოციურად ლაბილური მოზარდი ეძებს ისეთივე მძაფრ შეგრძნებებს ახალი „სასიყვარულო თავგადასავლის“ სახით... ეს ფაზები მეორდება და ყოველ ახალ ნაცნობობას მოსდევს — ლოთობა, ორგიები, არაიშვიათად ნარკოტიკების მოხმარება... ბოლოს კი — ჯერ კიდევ ახალგაზრდის გაცვეთა და გაცვედანება.

რაც შეეხება გოგონებს, ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ 12-13 წლის ორსული გოგო — ტრაგედიაა არა მარტო მისთვის და მისი ორგანიზმისთვის, არამედ ოჯახისთვის, მომავალი შვილისათვის და ა. შ. რადგან ე. წ. „დედიკო“ მზად არ არის დედობისათვის ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად, მორალურად, ეკონომიურად, სოციალურად. ხოლო ორსულობის შეწყვეტა არა მარტო უშვილობის გარანტია, არამედ ხშირად საშვილოსნოს ყელის კიბოს წარმოშობის მიზეზიც.

ვენერიულ დაავადებათა გაახალგაზრდავების მიზეზიც აქედან იღებს სათავეს.

ამ სტატიას სულაც არა აქვს კიდევ ერთი „ჩინური კედლის“ აღმართვის პრეტენზია, მაგრამ სარკეში თუ დასვრილ სახეს ვხედავთ, სარკის გატეხვას ხომ აჯობებდა საპნისთვის მოგვეკიდა ხელი... გვსურს თუ არა ეს ჩვენ, ვერცერთი მოზარდი ვერ ასცდება გარდამავალი ასაკის სიძნელეებს, ვერ განთავისუფლდება ბუნებრივი მოთხოვნილებებისაგან (ჩახშობა და მიჭირხვნა შეიძლება, განთავისუფლება — არა). უფრო მეტიც, ამერიკელ სოციოლოგთა აზრით ჩახშობილი (მიჭირხვნილი) „ჰორმონალური ბუმი“ იწვევს ისეთ მოქმედებებს, როგორიცაა — მოზარდთა დანაშაულებები, ქურდობა, ვანდალიზმი, ძალადობა, აგრესია და ა. შ. ხსნას ისევ ბუნება გვთავაზობს — ღამის პოლუციის (ეროტიული სიზმრის თანხლებთ), მასტრუბაციის (ონანიზმის) და სხვათა სახით, რომლისგან ტრაგედიის შექმნა ტრაგედიამდე მიგვიყვანს...

უფრო მეტიც, ამერიკელი სოციოლოგები გვთავაზობენ აგზნებადობის მოსახსნელ ე. წ. „სექსუალურ თამაშობებს“ — „ნეკინგი“ (წელს ზემოთ) და „პეტინგი“ (წელს ქვემოთ), რომელსაც ბევრი ახალგაზრდა (ასაკოვანიც) მიმართავს, რათა ამ გზით თავიდან იქნეს აცილებული არასასურველი სექსუალური აქტი...

ასე რომ, ამერიკელებისა არ იყოს, ჩვენი ვალიცაა ფრთხილად და ტაქტიანი რჩევა-დარიგებებით დავიცვათ მოზარდი მოსალოდნელი გართულებებისაგან... დანარჩენი კი თვით ბუნებას მივანდოთ.

**მანანა კეიდია,**
ექიმი გენეტიკოსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თანადგომა





მაუდ-კამვოლის კომბინატში დღე ისე არ დაღამდებოდა, რომ ქალთა საკეთილდღეო საკითხებზე არ ემსჯელათ. ლაპარაკი ნიადაგ იყო, მაგრამ არ იყო საქმე, რადგან არ ჰქონდათ ეკონომიკა. ოდნავ მოეშვა თუ არა ტოტალიტარული მმართველობის ყულფი, კომბინატელებმა უმალ შვება იგრძნეს, ფული ყულაბაში ჩააგდეს და უპირველეს ადამიანურ საქმეს მიხედეს.

— ამ საყოველთაო გაჭირვების ჟამს, — მეუბნება კომბინატის დირექტორის მოადგილე ქალბატონი მელიტა რევაზიშვილი, — დალხენილი არავინ არის, მაგრამ ჩვენ მაინც შევძელით ადამიანები სხვებზე მეტად დაგვეინტერესებინა საკუთარი შრომის შედეგით. ამას ჩვენ უმთავრესად კომბინატის საწარმოებში იჯარის ფართოდ დანერგვას და მისი წყალობით ეკონომიკის მოღონიერებას ვუმადლით. ეს რომ არა, ალბათ წლევანდელი ზამთრის სუსხსაც თავს იოლად ვერ დავაღწევთ. ენერგოკვების საკუთარი წყარო გავიჩინეთ და სხვები რომ მთელ ზამთარს „შიმშილობენ", ჩვენ ერთი დღეც არ გაგვჩერდებით.

რაც მთავარია, გაუქმდა ღამის ცვლა, რაც წლების მანძილზე ანადგურებდა ქალთა ჯანმრთელობას (კომბინატში ხომ ძირითადად ისინი მუშაობენ). ჯანმრთელობას ხომ კარგავდა და ღამით ოჯახს, ქმარ-შვილს მოცილებული ქალი სინდისის ქენჯნასაც განიცდიდა. რახან ეს ტვირთი მოიხსნა მხრებიდან, სხვაზე აღარ ნაღვლობს.

სხვა ბევრი პრობლემაც გადაიჭრა. მარტო ბოლო ორი წლის მანძილზე ასზე მეტმა მიიღო ბინის საყიდელი ფული, რომლის საერთო რაოდენობამ 6 მილიონი მანეთი შეადგინა. ამ მიზნით კომბინატი წლეულსაც გაიღებს 14 მილიონ მანეთს. ვიცი, ზოგი იფიქრებს: ამდენი ფული თუ აქვთ, ადგნენ და თვითონვე ააშენონო. აშენებენ კიდეც დიდ დიღომში ორ საცხოვრებელ სახლს, მაგრამ მასალები რომ არ იშოვება, რით დაამთავრონ?

თანაც გარდამავალი პერიოდის ამ ქაოსში, როცა არავინ და არაფერი კანონმდებლობას არ ექვემდებარება, იმდენი რამ გამოჩნდა მისახედი, აღარც კი იციან, როგორ გაწვდნენ. 90 მუშაკზე მეტს მიწისძვრამ დაუზიანა სახლი. ყველა მათგანს ფულით დაეხმარნენ, ბევრს ადგილზე ჩააკითხეს და ხელიც წაასველეს.

— რა დამავიწყებს სიკეთეს, — ამბობს მშრალი სამქროს ცვლის ოსტატი მაგული აბაშიძე, — რომელიც ჩემი კოლექტივის წევრებმა გამიწიეს. ჯერ იყო და კომბინატმა 30 ათასი მანეთი გამომიყო ბინის შესაძენად, ხოლო შემდეგ, როცა ხრეითში სახლი დამიზიანდა, არც მაშინ მიმატოვეს. ერთ დღეს მთელი ბრიგადა ეწვია ჩემს სოფელს. ფულთან ერთად საკვები და ტანსაცმელიც ჩამოიტანეს. მარტო ჩემთვის კი არა, სხვა გაჭირვებულებსაც წაახმარეს ხელი.

— სამჯერ ვიყავით ჯავახეთშიც,— საუბარს აგრძელებს კომბინატის სოციალური განვითარების განყოფილების უფროსი თინა გოგიშვილი. — ჩავუტანეთ სურსათი, საჩუქრები. ჩამოსახლებულ აჭარლებს, ადგილობრივ მოსახლეობას, მართალი გითხრათ, ძალიან გაუხარდათ.

ქალბატონი თინა მერე იმასაც მომიყვა, საწარმოში როგორ ეხმარებიან მარტოხელა დედებს, მრავალშვილიან ოჯახებს. კომბინატის სასურსათო მაღაზიაში ხელსაყრელ ფასებში იყიდება კარაქი, ყველი, ზეთი... ზრუნავენ პენსიონერებზე, მათზეც, რომლებიც საწარმოდან წავიდნენ.

დამაინტერესა მუშების განწყობილებამ, ზოგ მათგანს გავესაუბრე.

— 14 წელია აქ ვმუშაობ, — მითხრა საქსოვი წარმოების მქსელავმა ნელი შონვაძემ, — და არც ვაპირებ სადმე გადასვლას. კოლექტივს შევესისხლხორცე, მეგობრები გავიჩინე, მაგრამ მთავარი მაინც სხვა არის: შრომის პირობები, ანაზღაურება. სხვა საწარმოებთან შედარებით აქ ერთიც უკეთესია და მეორეც. თვეში საშუალოდ ოთხი ათას მანეთს ვიღებ. გვაძლევენ კვებისა და ტრანსპორტით მგზავრობის ფულსაც. ჩემი მეუღლე, რომელიც რკინიგზაში მუშაობს, ამდენსავეს რომ იღებდეს, გაცილებით შეძლებულად ვიცხოვრებდით და ბავშვებსაც უკეთესად გამოვკვებავდით. სამოთახიანი ბინა კომბინატის მოცემული ფულით ვიყიდეთ, ასე თუ ისე, ავეჯითაც გავაწყეთ. ოღონდ მშვიდობა, თანადგომა იყოს, გულდადინჯებული შრომის საშუალება მოგვეცეს და მჯერა, ყველაფერს მივაღწევთ. მით უფრო, თუ კომბინატის პრივატიზება მოხდა და მესაკუთრენი გავხდებით, ბუნებრივია, მეტი დაინტერესება გვექნება, უკეთესად ვიშრომებთ და უკეთესადაც ვიცხოვრებთ.

იგივე აზრი მოვისმინე სხვებისგანაც.

მახსოვს, არც თუ დიდი ხნის წინათ კომბინატშიც იყვნენ ქალები, რომლებიც მიტინგზე სიარულში ათენ-აღამებდნენ. კარგია, რომ ბევრი დარწმუნდა პოლიტიკანობის უაზრობაში და შრომას დაუბრუნდა. ქალისთვის იმაზე დიდი პოლიტიკა რა უნდა იყოს — ფუტკარივით იშრომოს, შვილებს სარჩო-საბადებელი და დედური ალერსი არ მოაკლოს, მითხრეს კომბინატელებმა. სხვებსაც აქეთკენ მოვუწოდებთო, დაამატეს.

ღმერთმა უსმინოთ.

**ოთარ ხუციშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



## მარო თარხნიშვილი—100

წლეულს აღინიშნება 100 წელი უსაჩინოესი მომღერლისა და ლოტბარის მარო თახნიშვილის დაბადებიდან, რომლის ღვაწლი ქართული კულტურის წინაშე ფასდაუდებელია. გთავაზობთ უახლოესი ადამიანების ორ მოგონებას ქ-ნ მარო თარხნიშვილზე.

# მისი ლოცვა არ მოგვაკლდება

ხშირად მეკითხებიან ჩემი სიმღერით გატაცების მიზეზს, ვინაიდან ჩემი შემოქმედება სასიმღერო ჟანრით შემოიფარგლება.

განა შეიძლება იზრდებოდე ისეთ ოჯახში, სადაც ყველა შესანიშნავად მღერის და გყავდეს ისეთი ბებია, როგორიც მარო თარხნიშვილი გახლდათ და სიმღერა ცხოვრების მეგზურად არ გაიხადო?

ბებიაჩემს თავისი უნივერსალური ხმის წყალობით სიცოცხლეშივე დიდი დაფასება ხვდა წილად.

1924 წელს, როცა გვარიშვილებს ბრალად თავად-აზნაურობა ედებოდათ, 25 წლის მარო დაქვრივდა და სამი შვილი — ივანე, თამარი და ნუნუ დარჩა აღსაზრდელად.

გაჭირვება, რომელიც დევნილ ოჯახს გადახდა თავს, სხვა დიდი საუბრის თემაა. თარხან-მოურავები ამ ოჯახში თარხნიშვილებად იქცნენ.

გასაკვირი აღარ არის, მაროს სამივე შვილი, რომელთაც შესანიშნავი ხმები ჰქონდათ, სიმღერა-მუსიკას გაჰყოლოდნენ. თამარი და ვანო კონსერვატორიაში ჩაირიცხნენ. უმცროსი ქალიშვილი შესანიშნავად უკრავდა როიალზე და ხშირად დედას უკეთებდა თანხლებას. დედაჩემი — თამარი 40 წელიწადს ედგა ბებიას გვერდზე და სოლო პარტიებს ასრულებდა. ბიძაჩემი ვანოც, წლების განმავლობაში მღეროდა დედამისის ანსამბლში.

მაროს ხუთი შვილიშვილი ვყავდით. ხუთივე კარგად ვმღეროდით და ხმაშეწყობილებიც ვიყავით. ვანოსაგან — თამილა თარხნიშვილი, თამარისაგან — მე და ჩემი ძმა, ფირან კვალიაშვილი, რომლის ქალიშვილიც ეკა კვალიაშვილი დღეს ესტრადის მომღერალია და ღირსეულად აგრძელებს ოჯახის ტრადიციებს.

სტუმრიანი ოჯახი გვქონდა. სადილად ოჯახის 14 წევრთან ერთად სუფრასთან სამი-ოთხი ან მეტი შემოსწრებული სტუმარი იჯდა. ასეთი თავშეყრა კარგი სიმღერით მთავრდებოდა. მეამაყება, რომ ჩვენს ოჯახში ის ხალხი იყრიდა თავს, რომელთა სახელებიც დღეს სანუკვარადაა ცნობილი: გოგლა ლეონიძე, იოსებ გრიშაშვილი, კარლო კალაძე, შალვა დადიანი, დიმიტრი არაყიშვილი, გიორგი ჩუბინაშვილი, სანდრო ინაშვილი, მიშა ყვარელაშვილი, დავით გამრეკელი, კატუშა სოხაძე, თამარ აბაკელია და სხვანი.

ტრადიციების მიმდევარი ოჯახი გვქონდა, განსაკუთრებით კი ახალი წლისა და აღდგომის რიტუალები დამრჩა მეხსიერებაში.

პირველი მეკვლე ბებია იყო. მას მოუთმენლად ველოდით, განთიადისას გარეთ გასული, ტკბილეულითა და ანთებული სანთლებით რომ შემოვიდოდა და: შემოვდგი ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი, ფეხი ჩემი, კვალი ანგელოზისაო, ამას სამჯერ იტყოდა და გვამცნობდა ახალი წლის დადგომას. ტკბილად დაგვაბერებდა და სასთუმალთან საჩუქრებს დაგვიწყობდა ხოლმე.

აღდგომის ღამეს ყველა უნდა შემოვსხდომოდით სააღდგომო სუფრას და ყველას ერთად გვემღერა „ქრისტე აღსდგა". შემდეგ კი მიგველოცა ერთმანეთისათვის.

ბებიაჩემს, მიუხედავად თავისი მოუცლელობისა, ყველაფერი ყოველთვის მოწესრიგებული ჰქონდა, იგი იმ დროს სახელმწიფო ანსამბლის დირექტორი, დეპუტატი და დიდი ოჯახის დედა იყო.

ბებიაჩემი ოთარაანთ ქვრივს მოგაგონებდათ, ყველა გაჭირვებულის განმკითხავი იყო.

გასტროლებზე ჩემი სიარული 7 თვიდან დაიწყო. თურმე კულისებში ჰამაკს გამიბამდნენ და ნანად ჩამესმოდა სცენაზე შესრულებული სიმღერა როცა ავლაპარაკდი და ფეხი ავიდგი, უკვე ყველა სიმღერა ვიცოდი ანსამბლის რეპერტუარიდან, რაც ჩემს მოკრძალებულ შემოქმედებას საფუძვლად დაედო.

როცა სწავლის ასაკი დამიდგა, მისაღები გამოცდები ჩავაბარე კონსერვატორიასთან არსებულ ნიჭიერთა ათწლედში.

მიმაცილებდა მისი იმედით სავსე თვალები მისაღებ გამოცდებზე ჯერ არაყიშვილის სახელობის I სამუსიკო სასწავლებელში, შემდეგ — კონსერვატორიაში. იმ დროისთვის ჩემი ნაწარმოებები უკვე სრულდებოდა. ყოველი წარმატება მისი ბედნიერება იყო.

როდესაც მის რეპერტუარზე მუშაობა დავიწყე, გვერდზე მიჯდა და ყველა ხმას თვითონ მიმღეროდა. მეუბნებოდა: დამემშურე, შვილო, მერე გვიან არ იყოსო.

როდესაც კრებული დავამთავრე, მთხოვა, თუ ვერ მოვესწრები ამ კრებულის დაბეჭდვას, სასაფლაოზე მომიტანე და ჩამომძახე, გამახარეო. სამწუხაროდ, ამ კრებულს დაბეჭდვა დღესაც არ ღირსებია.

ბებია ყოველ ღამე თავის ხატებთან ლოცულობდა და ღმერთს ავედრებდა თავის მონაგარს და სათაყვანებელ საქართველოს.

დარწმუნებული ვარ, მისი ლოცვა-კურთხევა ზეციური სამყაროდან, სადაც იგი ვალმოხდილი წარსდგა, არ მოგვაკლდება, როგორც მის შთამომავლობას, ასევე მის საქართველოსაც.

საოცარია, მაგრამ სულიც ერთ გაბმულ ბგერაზე დალია, თითქოს სიმღერისგანაც დაიცალაო...

**მარიკა კვალიაშვილი**

# ჩემი ძვირფასი დედამთილი



მარო თარხნიშვილი



ბაბულია თარხნიშვილი



სიმღერის სიყვარულმა მიმიყვანა იმ დროისათვის უკვე სახელმოხვეჭილი მომღერლის მარო თარხნიშვილის კონცერტზე. ჩემს აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. მომხიბლა მისმა შადრევანივით მჩქეფარე ხმამ და უზადო გარეგნობამ.

ქ-ნ მაროს გვერდს უმშვენებდნენ მისი და ეკატერინე თარხნიშვილი და შვილები — თამარ და ივანე თარხნიშვილები.

ჩემი ოცნება, გავმხდარიყავი ამ ანსამბლის წევრი, ამიხდა 1937 წელს. თანაც გავხდი არა მარტო ანსამბლის, არამედ ამ დიდი და ტრადიციული ოჯახის წევრიც: ცოლად გავყევი მაროს ვაჟიშვილს ვანო თარხნიშვილს, რომელიც გამოირჩეოდა თავისი გემოვნებით, მიხვრა-მოხვრით და მოლხენით. სიმღერაში ხომ ბადალი არ ჰყავდა.

ქორწინების დღიდანვე ჩვენს ოჯახში სუფევდა დიდი სიყვარული, ურთიერთპატივისცემა.

როცა გავბედე და ქ-ნ მაროს დედა დავუძახე, უზომოდ გაეხარდა, გადამკოცნა და მითხრა: დღეიდან ჩემი მეოთხე შვილი იქნებიო და ასეც იყო. რძლად თავი არასოდეს მიგრძვნია. თამარის ქმარი კოტე ქვალიაშვილი შესანიშნავი ოჯახის შვილი, სამხედრო მოსამსახურე და შემდგომში დამსახურებული მხატვარი იყო. მათი შვილები ფირანი და მარიკა წლების განმავლობაში ქართულ ესტრადას ემსახურებოდნენ. მარიკას შემოქმედება, როგორც კომპოზიტორისა, საკმაოდ ცნობილია ქართველი მსმენელისათვის. მაროს უმცროსი ქალიშვილი ნუნუ ცოლად გაჰყვა ფეხბურთელ აკაკი ყალიჩავას, რომელიც ასევე კარგად მღეროდა. მათ ორი შვილი შეეძინათ — თინა და მერაბი. მართალია, ძირითად საქმიანობად სხვა პროფესია აირჩიეს, მუსიკა მათ ცხოვრებაში მთავარ როლს თამაშობს.

ამ ოჯახის მეხუთე შვილიშვილი თამილა თარხნიშვილი, რომელიც ვანოს პირველი ქორწინებიდან ჰყავდა, შესანიშნავად მღეროდა ჯანო ბაგრატიონის ანსამბლში. თამილას ქალიშვილი ნატო გულისაშვილი სულ მალე ალბათ დიდ სცენას ეზიარება. ასე გრძელდება ამ დიდი ოჯახის ტრადიციები.

სიმღერა ჩვენი ოჯახის მუდმივი თანამგზავრი იყო, რაც ანდამატივით იზიდავდა სტუმარს.

დედა დაბადებული იყო 1891 წლის 21 დეკემბერს. ეს ტრადიციული დღე ყოველთვის აღინიშნებოდა ოჯახში მის სიცოცხლეშიც და შემდეგაც, დღემდე. სანამ ვიარსებებ, ჩემი დედამთილის ძვირფასი სახელი ჩემთვის ხატებაა და მის სადიდებლად და უკვდავსაყოფად ყველაფერს ვიღონებ. მისი სახელი მარტო შვილებს არ ეკუთვნის. ის მთელი საქართველოს დედა იყო.

ბაბულია თარხნიშვილი



ეროვნული ბიბლიოთეკა

# საარსებო პრობლემა

ადამიანი თავისი ნების გარეშე ევლინება ქვეყნიერებას და დანამდვილებით მხოლოდ ის იცის, რომ მისივე ნების გარეშე მოკვდება. იგი გრძნობს, რომ არავის ჰგავს, განუმეორებელია, ერთადერთი, გამოყოფილი და განცალკევებული ყველასაგან.

ადამიანის არსებობის ძირითადი პრობლემა საკუთარი მარტოობისა და განცალკევებულობის პრობლემაა. ეს პრობლემა მაშინ გაჩნდა, როდესაც იგი სამოთხიდან გამოაძევეს.

მას შემდეგ იგი იძულებულია შეიცნოს გარემო. ოფლისა დ სისხლის ფასად მოიპოვოს „პური არსობისა“, ამისათვის მან საკუთარი მარტოობა და განცალკევებულობა უნდა გადალახოს, რომელიც მასში მუდმივ შიშს წარმოშობს, შიშს ბუნების შეუცნობელ ძალთა წინაშე; და თუ ამ შიშის დაძლევა მის ძალებს აღემატება, რჩება ერთადერთი გამოსავალი: მან უნდა უარჰყოს გარემო, ობიექტური რეალობა და თავად შექმნას მისივე სურვილების შესაბამისი არარეალური „პირადი ცხოვრება“, რაც შეშლილობას, სულით ავადმყოფობას გულისხმობს.

რაშია ის ძალა, რომელიც დააძლევინებს საკუთარი მარტოობის გრძნობასა და შიშს? — ეს ძალა მეორე ადამიანთან დამყარებულ ურთიერთობაში, მასთან გაერთიანებაში, მასთან გამთლიანებაშია. ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ამგვარი გაერთიანება - გამთლიანება მხოლოდ სიყვარულს შეუძლია. გამოდის, რომ უზოგადესი გაგებით, სიყვარული ადამიანის ძირითადი საარსებო პრობლემის გადაჭრის ერთადერთი საშუალებაა.

ჩვეულებრივ, ცხოვრებაში საკითხი ამგვარად არ დგას: რადგან სიყვარული თითქოს არავისთვის წარმოადგენს პრობლემას, ის თითქოს ყველამ იცის, სიყვარული თითქოს ყველას შეუძლია, სასიამოვნო განცდაა, რომელიც შემთხვევის, იღბლის საქმეა. მას ყველა ესწრაფვის.

მიუხედავად ამგვარი იოლი მიდგომისა, სიყვარულს უზარმაზარი ტანჯვის, იდეალების მსხვრევისა და უკიდურესი სასოწარკვეთის გამოწვევაც შეუძლია. არსებობს კი საქმის, მოქმედების, დასახული მიზნისაკენ ლტოლვის სხვა შემთხვევა, რომელიც ამგვარი მოლოდინითა და იმედით იწყება და უმეტეს შემთხვევაში მარცხით მთავრდება? ყველა სხვა შემთხვევაში ადამიანი თავისი



## სიცოცხლე სიყვარულით იწყება

წერილი მესამე

წამოწყებული საქმის წარმატებით დაგვირგვინებისათვის, აუცილებლად წინასწარ ეცდებოდა შესაძლო მარცხისგან თავის არიდებას. აქ ეს არ გამოუდის, იმიტომ, რომ ამ საქმეში იგი წინასწარ უშვებს შეცდომებს.

შეცდომაა, როდესაც ადამიანს პატარა ბავშვივით ის უფრო უხარია, როდესაც იგი სხვას უყვარს, რასაც როგორც ბედს, იღბალს, ღვთის საჩუქარს, ისე განიცდის და ავიწყდება, რომ ნამდვილი სიყვარული საკუთარი გარჯის, წინააღმდეგობათა დაძლევის, საკუთარ სულიერ ძალთა გამუდმებული ხარჯვისა და შემოქმედების შედეგი უნდა იყოს.

მეორე შეცდომაა, როდესაც ჰგონიათ, რომ სიყვარული იოლი საქმეა, თუ არსებობს ობიექტი, რომელიც თავისთავად გადაიქცა სიყვარულის საგნად. საგნის ძიებაში ადვილად შეცდები, თუ ის საიპანადოდ არის შეფუთული და რეკლამირებული. თუ ობიექტი საგნად გადაიქცა, ის შეიძლება მეორე, უფრო უკეთ შეფუთული და რეკლამირებული საგნით შეიცვალოს. ამგვარი ძიების პროცესში საჭირო საგანი ხშირად საერთოდ იკარგება. ჭეშმარიტი სიყვარული იბადება ადამიანის სიყვარულისათვის საჭირო უნარით. ეს ნიჭი ადამიანს ან აქვს, ან — არა.

მესამე შეცდომაა „სიყვარულით დაბრმავება“ უეცარი და ძლიერი გატაცების გამო. თუ ორ ადამიანს შორის ძლიერი ფიზიკური (სექსუალური) ლტოლვისა და ამ სურვილის სწრაფი დაკმაყოფილების შედეგად დაინგრა ყოველგვარი ბარიერი, რაც ორივეს ძლიერ აღტაცებასა და მღელვარებას განაცდევინებს, ანუ, როდესაც მოხდება „სასწაული სიყვარულის გარეშე“, ეს სასწაული დროს ვერ გაუძლებს: რაც უფრო უკეთ გაიცნობენ ერთმანეთს, მით უფრო ჩქარა დაიცლება გრძნობისაგან მათი სიახლოვე. შემდეგ ურთიერთმოყირჭება გულგრილობაში გადაიზრდება, რაც „სასწაულის“ მოგონებასაც სამუდამოდ გააქრობს.

სიყვარულმა რომ გაგვიმართლოს, იმით კი არ უნდა ვტკბებოდეთ, სხვას რომ ვუყვარვართ, თვითონ უნდა ვიყოთ აქტიურნი. უნდა გვქონდეს უნარი, ნიჭი „ბედის შემჩნევისა“, მეორე ადამიანის „გულთან მიტანისა“ — შეყვარებისა. სექსუალურ მიმზიდველობასა და მისით აღძრული ჟინის დაუყოვნებლივ დაკმაყოფილებას კი არ უნდა ვესწრაფოდეთ, არამედ, თვალით მოწონებული ადამიანის სული-

ერ სამყაროში გარკვევას უნდა ვცდილობდეთ და, თუ „გულმა გული იცნო“, სხეული თავად მოახდენს სასწაულს.

ნამდვილი სიყვარული აჩენს ურთიერთმზრუნველობას, ურთიერთპასუხისმგებლობის, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთის შეცნობის მოთხოვნილებას.

არ შეიძლება დედას შვილი უყვარდეს და მის მიმართ მზრუნველობას არ იჩენდეს, არ უვლიდეს. ნურავინ იტყვის ყვავილები მიყვარსო, თუ მათი მორწყვა დაავიწყდება. უყვართ ის, ვისთვისაც ზრუნავენ, შრომობენ, ზრუნავენ და შრომობენ იმიტომ, რომ უყვართ.

ზრუნვას, დაინტერესებასა და შრომას მივყავართ პასუხისმგებლობასთან, რომელიც სულაც არ არის თავსმოხვეული მოვალეობა. იგი საკუთარი ნებიდან გამომდინარეობს. მოსიყვარულე ადამიანი პასუხს აგებს მასზე, ვინც უყვარს, ზუსტად ისევე, როგორც პასუხს აგებს საკუთარ თავზე, ოსტატი პასუხს აგებს შეგირდზე, აღმზრდელი — აღსაზრდელზე, მშობელი — შვილზე.

პასუხისმგებლობა სიყვარულის გარეშე სხვისი ჯობნის, სხვაზე გაბატონების მოთხოვნილებად შეიძლება გადაიქცეს. სიყვარულში კი ის პატივისცემით ვლინდება, ანუ იმის უნარით, დაინახო ადამიანი ისეთი, როგორიც არის, გაითვალისწინო მისი განუმეორებლობა და სწორედ ამას სცე პატივი. მე მინდა, რომ ადამიანი, რომელიც მიყვარს, ისე ცხოვრობდეს და ვითარდებოდეს, როგორც მას სურს და არა ისე, როგორც მე შეიძლება წარმომედგინოს, იგი ჩემი მიზნის მიღწევის საშუალება კი არ უნდა იყოს, პირიქით, ჩემი მიზანია, რომ მან სწორედ თავისთავადობა არ დაჰკარგოს და სწორად გამოავლინოს საკუთარი შესაძლებლობანი. საამისოდ კი მე თვითონ უნდა ვიყო თავისუფალი. ამგვარი ჭეშმარიტი და უანგარო პატივისცემა მხოლოდ ჭეშმარიტი სიყვარულის დროს არსებობს.

ვინმეს პატივისცემა შეუძლებელია მისი შეცნობის გარეშე. ზრუნვა და პასუხისმგებლობა გაუფასურდებოდა, თუ მას ადამიანის შინაგანი ბუნების წვდომის წადილი არ წარმართავს. თუ მოვახერხებ სხვისი აზრი გავიზიარო, ამით საკუთარ თავსაც უკეთ შევიცნობ, მით უმეტეს სიყვარულში, სადაც მარტო აზრი კი არ მუშაობს, არამედ გრძნობა და ინტუიცია. რაც მაშინ შეიძლება დაიბადოს, თუ მთელი ჩემი არსებით შევუერთდები შესაცნობ პიროვნებას, თუ მთლიანად გავიხსნები მის წინაშე და მასში. ამგვარი გამთლიანება მხოლოდ ჭეშმარიტ სიყვარულს შეუძლია და მეტს არაფერს, — მით უმეტეს, ლოგიკურად გამართულ აზროვნებას. თუ გასაგებად დავწერე ჩემი სათქმელი, ისიც გასაგები უნდა გახდეს, თუ რატომ ამბობს დიდი რუსთაველი: სიყვარული აღგვამაღლებსო.

ჩემი წერილი დასასრულს მიუახლოვდა. ის ფსიქოლოგიური მსჯელობით დაიწყო და სიყვარულის ფსიქოლოგიურ კანონზომიერებაში გადაიზარდა. და სწორედ აქ გამოჩნდა, რომ სიყვარული უფრო მეტი რამ არის, ვიდრე ერთად აღებული ფილოსოფია და ფსიქოლოგია, თუნდაც იმიტომ, რომ არსებობს რომეოსა და ჯულიეტასნაირი სიყვარული, რომლის საიდუმლო, თვით მისმა გენიალურმა მთხრობელმაც კი არ იცოდა. ადამიანის მაძიებელ გონებას, ამ საიდუმლოზეც აქვს გარკვეული მოსაზრება, რის შესახებაც მომდევნო წერილში გესაუბრებით.

**თენგიზ აბრამიშვილი,**
ექიმი-ფსიქიატრი.



*ცოლი+ქმარი=?*

# უხეშობა კლავს გრძნობას



ჩვენს ფსიქიკას ერთი არასასიამოვნო თავისებურება აქვს — სხვის ნაკლოვანებებს უფრო სიამოვნებით ვამჩნევთ, ვიდრე საკუთარს. ეს ამპარტავნობის ბრალიცაა — სხვას რომ ნაკლს შევამჩნევთ, თითქოს საკუთარ თვალში ვმაღლდებით. კულტურული, თავშეკავებული და ტაქტიანი ადამიანები ნაკლებად აქცევენ ყურადღებას სხვის ნაკლს. ვთქვათ, ცოლი ცუდი დიასახლისია და ქმარი მას საყვედურობს, ფორმალურად იგი მართალია: ოჯახის კარგი მოვლა სიამტკბილობის ერთ-ერთი პირობაა. მაგრამ ტაქტიანი ქმარი უმალ მიხვდება, რომ ცოლის უუნარობა არასწორი აღზრდის ბრალია. ის არ ატეხს აყალმაყალს დამწვარი კატლეტისა და უმარილო წვნიანისათვის, პირიქით, ეცდება იუმორი მოიშველიოს და დაეხმაროს ცოლს.

არის მეორე ვარიანტიც: ქმარი ცოლის ყოველ მარცხზე ყვირის, თავის უხეშობით გამოსწორების ხალისს უკარგავს ცოლს და აიძულებს დაიცვას თავი. ისიც იწყებს მეუღლის ნაკლოვანებების გამომზეურებას და თავზე აცხრება. თუ მეუღლეები დროზე არ შეჩერდებიან, ერთმანეთის „გამოსწორება“ ძვირად დაუჯდებათ: დაეწყებათ მომქანცველი შეხლა-შემოხლა და ნახვამდის სიყვარულო, ოჯახური მყუდროებავ!

ამიტომ მეუღლეთა თავდაჭერილობა ის მუხრუჭია, რომელიც ოჯახს კატასტროფისაგან იხსნის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ღმერთო, ნუ გამითენებ ხვალინდელ დღეს“!..“

## წერილი კომენტარით

დავიბადე და ვცხოვრობ პატარა ქალაქში. 15 წლის ვარ და არ მგონია ჩემზე უბედური თუ ვინმეა ამ ქვეყანაზე. მეგობრები მყავს, მაგრამ საიდუმლოს არავის ვანდობ... ჩემს მეგობრებს დედებთან კარგი დამოკიდებულება აქვთ. ძალიან მშურს მათი. გაგიკვირდებათ ალბათ, რომელ შვილს არა აქვს დედასთან კარგი ურთიერთობაო. მე მაგალითად, დედასთან ვერ ვამყარებ ურთიერთობას. დედაჩემი არსად მიშვებს, კინოში წასვლას რომ ვუხსენებ, ლამის გაგიჟდეს. ერთხელ სკოლაში ბოლო ორი გაკვეთილი გაგვიცდა, ამხანაგებმა თქვეს: სახლში მივიდეთ, გავემზადოთ და სურათის გადასაღებად წავიდეთო. მოვედი სახლში და დედას ვთხოვე სურათის გადასაღებად გამიშვი-მეთქი. არაო, ისე შემომიყვირა, მეორედ თქმა ვერ გავუბედე, გული ამომიჯდა, ნახევარი საათი ვტიროდი, იქნებ შემიცოდოს და გამიშვას მეთქი, მაგრამ არ გამიშვა: სახლში ეგდებიო, — მომახალა. დაბადების დღეს რომ ვუხსენებ, ლამის შემჭამოს, ისეთი თვალებით მიყურებს. თხუთმეტი წლის ვარ და ერთხელ არ მახსოვს დედაჩემს ან ექსკურსიაზე გავეშვი, ან სადმე გასართობ ადგილას. მეგობართანაც რომ ავდივარ (ჩემს სახლში ცხოვრობს), მეუბნება: არ დაგინახო ასულიო. რაც წამოვიზარდე, დედაჩემს სოფელში აღარ გავუშვივარ ნათესავებთან, სულ მის გვერდში ვარ. ზაფხულობით სოფელში, როცა მთელი ქვეყანა გარეთ არის გამოსული, მე სახლში უნდა ვიყო. ყველანაირად მზღუდავს, მოწყვეტილი ვარ ცხოვრებას. ქუჩაში ჩემი ტოლების მოღიმარ სახეებს რომ ვუყურებ, თვალები ცრემლით მევსება და უნებურად გავიფიქრებ ხოლმე: ღმერთო, რა მოხდებოდა, მეც ამათნაირი ბედნიერი ბავშვობა მქონდეს-მეთქი. წავიდა ის მხიარული, ბედნიერი წუთები, რასაც უდარდელი ბავშვობა ჰქვია.

სკოლის რომელიმე ამხანაგი სახლში ნამცხვარზე, ყავაზე ან სხვა რამეზე რომ დაგვპატიჟებდა, ბოლო გაკვეთილიდან წამოვიდოდი, დედას მოვატყუებდი, სკოლაში მივდივარ, კლასის კრება გვაქვს მეთქი. როგორ ფიქრობთ, მიხაროდა დედას ტყუილს რომ ვეუბნებოდი. არ მინდოდა, მაგრამ, ამას გარემოება მაკეთებინებდა, არ წავსულიყავი?! ესეც არ შეიძლებოდა. მე ისედაც ყველაფერს მოკლებული ვიყავი, მოკლებული ვიყავი მეგობრებს, იმ ბედნიერ წუთებს, რასაც ერთად გატარებული სამახსოვრო წუთები ჰქვია. რატომ უნდა დასჭირდეს შვილს დედასთან ტყუილი?! რატომ არ უნდა ჩასწვდეს დედა შვილის სულიერ ტკივილს, განცდებს... რატომ უნდა ჩაიკლას ბავშვმა გულში წყენა და რატომ არ უნდა გაუზიაროს დედას?

ერთხელ ჩემმა კლასელმა გოგონამ გვითხრა: გაკვეთილების მერე ჩემთან წამოხვალთ, სარვამარტოდ მოვილხინოთო. სახლში რომ მივედი, დედას ვუთხარი: სკოლაში მოსწავლეთა და მასწავლებელთა გაერთიანებული კრება ტარდება და იქ მივდივარ-მეთქი. სუფრიდან ყველაზე პირველი მე წამოვედი.. სამ საათი დამიგვიანებია: შევაღე კარი თუ არა, ისეთი დღე დამაწია, რომ მტერს, რაც მე იქ იმ დღეს გადავიტანე. რამდენჯერ გადავწყვიტე თავის მოკვლა. მაგრამ სული ტკბილიაო. ვერ გავბედე. მოკლედ, არ ვიცი, რა ვქნა, ღამე რომ დავწვები, ღმერთს ვთხოვ: „ღმერთო, გევედრები, ნუ გამითენებ ხვალინდელ დილას“. ყველა მშობელს მინდა ვთხოვო: ნუ შეუზღუდავთ ბავშვს ყველაფერს, ნუ შეუკრავთ მას ხელ-ფეხს, ნაადრევად ნუ დააკარგვინებთ ბავშვობას, ნუ გაზდით იძულებულს, თავის მოკვლა ინატროს. მკითხველო, იქნებ თქვენ მირჩიოთ, რა ვქნა, ძალიან გთხოვთ, ამ წერილს უპასუხოდ ნუ დატოვებთ.

თეონა



## რედაქციისაგან:

### აი, ასეთი გულისმომკვლელი წერილი გამოგვიგზავნა უცნობმა გოგონამ.

ჩვენთვის, უფროსებისათვის, გასაგებია თეონას დედის შიში და სიფრთხილე. ნამდვილად ცუდ დროში ვცხოვრობთ, რამდენ დედას გაუხეთქავდა გულს მარტო ის ამაზრზენი ფაქტი, აგერ ახლახანს თბილისში რომ მოხდა: ორი ქალიშვილის მხეცური წამება და მკვლელობა.

სიფრთხილეს ზიანი არავისთვის მოუტანია, მაგრამ... ახლა შევეცადოთ თეონას თვალითაც შევხედოთ სამყაროს. ასაკი, როცა განსაკუთრებით მტკივნეულად ჰლიქვამ ყოველგვარ უსამართლობას. არადა, ნამდვილად უსამართლობაა ადამიანს, თუნდაც ახალგაზრდას, თუნდაც ბავშვს, წაართვა პირადი ცხოვრების უფლება. წაართვა მეგობრების ყოლის, გართობის, ბოლოს და ბოლოს, გულახდილად საუბრის უფლება.

პრობლემა იოლი არ გახლავთ და ხშირად ჩიხში გვაქცევს.

რასაკვირველია, მშობელი უკეთ იცნობს ცხოვრებას და უკეთ ხედავს საფრთხეს, რომელიც სახლიდან გასულ მოზარდს, მით უფრო, 15 წლის გოგონას, შეიძლება შეემთხვეს, მაგრამ რა საჭიროა ისტერიკა? რატომ არ შეიძლება გოგონას გულახდილად გაუზიაროთ ჩვენი შიში, მღელვარება და ვთხოვოთ, გაგებით მოეკიდოს ჩვენს გრძნობებს. ჩვენ — მშობლები ხომ პასუხისმგებლები ვართ მათი სიცოცხლისა და კეთილდღეობისათვის?

თეონას დედას ხომ შეეძლო ერთი-ორჯერ მაინც თავისთან მიეწვია შვილის ამხანაგები, ახლოს გაცნობოდა მათ, საშუალება მიეცა მოზარდებისათვის ერთად გაეტარებინათ რამდენიმე მხიარული საათი ან დაბადების დღეზე გაეშვა ქალიშვილი, მაგრამ დათქმულ საათზე მიეკითხა და შინ ერთად დაბრუნებულიყვნენ?

ვარიანტებს რა დალევს.

ძვირფასო დედებო! გთხოვთ, ერთ რამეში გვერწმუნოთ: მარტოკა აკრძალვით, კარის ჩაკეტვით, ყველაფერზე უარის თქმით და ისტერიკით ვფიქრობთ, იმას მიაღწევთ, რასაც თეონას დედამ მიაღწია, იმაზე საშინელი რაღა შეიძლება იყოს, როცა დედის საქციელით გამწარებული 15 წლის ქალიშვილი დაწერს: „ღმერთო, ნუ გამითენებ ხვალინდელ დილას“.

ჩვენ გვსურს ვთხოვოთ მკითხველებს, დედებს, ქალიშვილებს, ფსიქოლოგებს, ექიმებს — ყველას, ვისაც ამ პრობლემასთან შეხება ჰქონია, — გაგვიზიარონ თავიანთი აზრი.

მაშ ასე: რუბრიკა „დედები და ქალიშვილები“ თქვენს მოსაზრებებს ელის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



ახალგაზრდა ქალის
ენციკლოპედია

დღევანდელი კონსულტაციები, რომლებსაც თავის პა-
ციენტებთან ერთად თქვენც გთავაზობთ მიროსლავ მა-
ტოუშეკი, ჩვილის კვებას ეხება.

# შეიძლება თუ არა?

**— შეიძლება თუ არა ჩვილს მივცეთ ახალმოწველილი ძროხის რძე, როცა სოფელში მომიხდება ჩასვლა?**

— ზოგან ახლაც დიდ პატივშია ძროხის რძე; მაგრამ ეს მხოლოდ გა-
მონაკლის შემთხვევაში შეიძლება, ისიც მაშინ, თუ ძროხას სისტემატუ-
რად ამოწმებს ვეტერინარი და წვე-
ლის დროსაც დაცულია აუცილებელი სისუფთავე. 6 თვემდე ასაკის ბავშვე-
ბისათვის ასეთი რძე არ არის რეკო-
მენდებული. აუცილებელია რძე მო-
წველისთანავე ავადუღოთ. სულ ცო-
ტა, სამჯერ მაინც წამოვადუღოთ, უკეთესია 3-5 წუთის მანძილზე ვა-
დუღოთ და მერე გავაცივოთ.

**— საკმარისია თუ არა ცივი ქვის იატაკზე რძის ჭურჭლის დადგმა?**

— სრულიადაც არა. იქ რძე ნელა ცივდება და ამასობაში შესაძლოა გა-
უჩნდეს ავადმყოფობის გამომწვევი მიკრობები. რძე უნდა გაცივდეს 30 წუთში მაინც. ამას შეიძლება მივაღ-
წიოთ, თუ რძიან ჭურჭელს ცივ, გამ-
დინარე წყალში ჩავდგამთ, ხოლო ზოგჯერ თუ ამოურევთ კიდეც, გაცი-
ვების პროცესი დაჩქარდება. გაგრი-
ლებული რძე მაცივარში, ან უარეს შემთხვევაში, ცივ წყალში ჩადგით და წყალი უცვალეთ. შეიძლება ბოთ-
ლებში დაფასოებული მთელი დღის მარაგი მაცივარში შეინახოთ, კვების წინ კი ცხელ წყალში ჩადგმით შე-
ათბოთ.

**— შეიძლება თუ არა ბავშვი მაღა-
ზიის რძით ვკვებოთ?**

**შეიძლება მაღაზიის რძე რძის ფხვ-
ნილით მომზადებულს შევადაროთ?**

— მაღაზიის რძე პასტერიზებულია, რაც უზრუნველყოფს ბაქტერიების მოსპობას, მაგრამ მას გრძელი გზის გავლა უხდება, ვიდრე მყიდველამდე მიაღწევდეს, რის გამოც შესაძლოა ჰაერიდან მიიღოს ბაქტერიები. გარდა ამისა, რძე კარგა ხანს დგას მაღა-
ზიაში. ყოველივე ამის გათვალისწი-
ნებით, დაბეჯითებით გირჩევთ, ძუძუ-
თა ბავშვი ფხვნილით მომზადებული რძით კვებოთ, მით უფრო, რომ ნე-
ბისმიერ დროს შეგიძლიათ მოამზა-
დოთ ნებისმიერი რაოდენობის რძე, საკმარისია გადადუღებულ წყალში ფხვნილის გახსნა.

**— ამბობენ, რძის ფხვნილი მინერა-
ლურ წყალში უნდა გაიხსნასო.**

— მხოლოდ მაშინ, თუ სასმელი წყალი შეიცავს ზომაზე მეტ აზოტმჟა-
ვის მარილებს. მოზრდილთათვის იგი საშიში არ არის, მაგრამ ჩვილისათ-
ვის საზიანოა. თქვენ ამის შესახებ კონსულტაცია უნდა მიიღოთ თქვენი რაიონის ბავშვთა პოლიკლინიკაში. თუ ჭის წყალს ხმარობთ, იგი უნდა შეამოწმებინოთ რაიონის სანიტა-
რულ-ჰიგიენურ სამსახურს.

**— რძის ფხვნილი არ ფუჭდება?**

— როგორ არა. პაკეტს აწერია გა-
მოშვებისა და შენახვის ვადები. გახ-
სნილი პაკეტი უნდა გამოიყენოთ გახ-
სნიდან ორი კვირის მანძილზე. არ შეიძლება ის მზეზე ან თბილ ად-
გილზე გქონდეთ შენახული, არც — თავმოხდილი.

მშრალი რძე მოყვითალო ფხვნი-
ლია, რომელსაც ახალი კარაქის სუ-
ნი დაჰკრავს. მას ის უპირატესობაც აქვს, რომ შეიძლება არ წამოადუ-
ღოთ, მაგრამ წყალში გახსნილი დიდ-
ხანს არ ინახება. ამიტომ ყოველ ჭა-
მაზე ახალი უნდა მომზადდეს.

**— რა ასაკიდან შეიძლება ბავშვი შესქელებული რძით ვკვებოთ?**

— ექსპერიმენტისათვის დაბადე-
ბიდანვე კვებავდნენ, მაგრამ უშაქრო შესქელებული რძით. ბავშვები ამას კარგად იტანენ. ინსტრუქცია ქილა-
ზე აწერია. თოთო ბავშვისათვის იგი უნდა გავაზავოთ პროპორციით: 2:3, უფრო გვიან კი — 3:4. შემდეგ აგდე-
ბენ ერთ ნატეხ შაქარს. გახსნილ ქი-
ლას ორ დღე-ღამეზე მეტ ხანს ნუ შეინახავთ. ტკბილი შესქელებული რძე ძუძუთა ბავშვის საკვებად არ გა-
მოდგება, რადგან ბევრ შაქარს შეი-
ცავს.

**— ნახარში თუ მივცე?**

— ნახარშს ახლა უფრო იშვიათად იყენებენ. თუ ბავშვს მიდრეკილება აქვს კუჭის აშლილობისაკენ, იმ შემ-
თხვევაში აძლევენ ბრინჯის ნახარშს. ერთ კოვზ ბრინჯს ნახევარ საათს ხარშავენ ლიტრა წყალში, შემდეგ წურავენ დ უმატებენ ნახევარ ლიტ-
რამდე ადუღებულ წყალს. ასევე აძ-
ლევენ ჰერკულესის ნახარშს შეკრუ-
ლობისაკენ მიდრეკილების მქონე ბავშვებს. რძის გასაზავებლად ნახარ-
შებს ნუ გამოიყენებთ.

**— ხელოვნურ კვებაზე მყოფს რამ-
დენი მშრალი რძე უნდა მივცეთ?**

— მისთვის იგივე მითითებები უნ-
და შეასრულოთ, რასაც ძუძუზე მყო-
ფი ბავშვისათვის ასრულებთ.

**— ყოველთვის ერთი და იგივე რაოდენობის რძე უნდა მიიღოს?**

— რასაკვირველია, არა. ბავშვს შეუძლია თვითონვე განსაზღვროს, შია თუ არა. არ უნდა შეაჩვიოთ ზედ-
მეტ ჭამას, თორემ შეიძლება მადაც დაკარგოს და რძეც შეიძულოს. თუ ერთხელ 160 გრამი, მეორედ კი 100 გრამი მიიღო, არავითარ შემთხვევა-
ში არ დააძალოთ დარჩენილის შეჭმა.

**— როგორ განვსაზღვროთ რძის ტემპერატურა?**

— რძის ბოთლი ლოყაზე მიიდეთ, ან ხელის გულზე დაიწვეთეთ. რასა-
კვირველია, საწოვარადან გასინჯვა აზრადაც არ უნდა მოგივიდეთ. ჭამის დროს ბავშვის გართობა საჭირო არ არის.

**— ძროხის რძის გარდა, თუ შეი-
ძლება სხვა რძე მივცეთ?**

— შეიძლება თხის რძე, მაგრამ მისმა სისტემატურმა ხმარებამ შეი-
ძლება სისხლნაკლებობა გამოიწვი-
ოს. დედის რძის გარდა განსაკუთრე-
ბულ შემთხვევაში და ექიმის რეკო-
მენდაციით შეიძლება მიეცეს სხვა საკვები.

# ტრადიცია

ნუ მალავთ ჩემს ნაოჭებს,
ისინი მე ძვირად მიღირს.

**ანა მაჩიანი**

ჯერიკო ანჯაფარიძე ანა აგლაძის პიესას „მღელვარე დღეებს" დგამდა. სპექტაკლში ია ხობუა მაშიკოს როლს ასრულებდა. პირველ ხანებში იამ მოახლის ხასიათი სრულყოფილად ვერ გახსნა. რეპეტიციებს სესილია ესწრებოდა. ერთ დღეს ია იხმო და უთხრა: მოდი, გოგო, ჩემთან. წავიდეთ ვერის ბაზარში და თავად იხილავ, დიასახლისები გამყიდველებს როგორ ევაჭრებიან. კარგად დააკვირდი და მათი ქცევა სცენაზე გადმოიტანეო.

გენერალური რეპეტიცია დაინიშნა. სესილიამ მოახლეს გრძელი ნაწნავი ზორტით შეუნასკვა. სრული „ბატინკები" ჩააცვა, ზიზილა წინსაფრით კაბა დაუფარა. კულისებში კალათი დადგეს და მაშიკო გააფრთხილეს: მაშინ აიღე, როცა გიხმონო და მოახლეც ქალბატონის დაძახილს ელოდა. სცენიდან მერი დავითაშვილის ხმა გაისმა და დამფრთხალმა გოგომ სწრაფად დასტაცა ხელი კალათს, რომელიც საშინლად ემძიმა (რკინის ნაჭერი ჩაედოთ შიგ). იქვე წაბარბაცდა, შემდეგ ნახტომით სცენის შუაგულში აღმოჩნდა და იატაკზე გაიშხლართა. ეს ისე ბუნებრივად მოხდა, დარბაზში მყოფმა სესილიამ თავი ვერ შეიკავა და: ყოჩაღ, იაო, — შესძახა. სცენა ამ სახით დამკვიდრდა სპექტაკლში, რაზეც მაყურებელი გულიანად ხარხარებდა.

აფხაზეთის სახალხო არტისტი აკაკი ბოკუჩავა ქალიშვილს მსახიობობას არ ურჩევდა. მაგრამ იამ სურვილი მაინც აისრულა. თეატრალურ ინსტიტუტში მიიღეს. აკაკი ვასაძემ ქუთაისის სახელმწიფო თეატრში მიიწვია. რუსთაველის სახელობის თეატრი „ესპანელ მღვდელს" დგამდა და ამარანტას როლი შესთავაზეს. იას გული მარჯანიშვილის თეატრისკენ მიუწევდა. სწორედ იმ ხანად გიგა ლორთქიფანიძე „მე, ბებია, ილიკო და ილარიონს" დგამდა და იას მერის როლი მისცა.

ია მიამბობს: მახსოვს „ბებიაზე" მუშაობა... რეზო ხობუა სოფლის ექიმს თამაშობდა. გრიმი ხავრიელად წავისვი და ულამაზესი გოგონა გავხდი. სესილიამ ონკანთან პირი დამაბანინა. მეტი სილამაზე რად გინდა, ანგელოსივით სახე გაქვს. ხომ გახსოვს ანა მანიანის სიტყვები: ნუ მალავთ ჩემს ნაოჭებს, ისინი მე ძვირად მიღირსო, რაც მე სამუდამოდ დამამახსოვრდა.



ია და ხათუნა



კინოფილმში „თოვლიანი ქორწილი" ია ხობუა



„ცილინდრი". ბეტინა — ია ხობუა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტრადიცია

ია მარჯანიშვილის თეატრში დიდი სიყვარული ეწვია. ია და რეზო ხობუა — შესანიშნავი წყვილი, ყველას ხიბლავდა. უიღბლო გამოდგა მათი სიყვარული. მხოლოდ ექვსი წელი იცხოვრეს ერთად. ძვირფასი მეგობრის მოულოდნელმა დაკარგვამ თავზარი დასცა ახალგაზრდა ქალს. რეზოს შემდეგ სამი წელი თეატრისაკენ არ გაუხედავს. თითქოს დაცარიელდა მისთვის ქვეყანა. საზრუნავად კი ქალ-ვაჟი დარჩა.

— რეზოს შემდეგ როლს ვერ ვსწავლობდი. დედამთილი ნადია, რომელსაც ოცდაჩვიდმეტში ქმარი დაუხვრიტეს, თვითონ კი ოცი წელი პატიმრობასა და გადასახლებაში გაატარა, როლის სწავლაშიც მეხმარებოდა და როლზე უარის თქმასაც მიშლიდა.

რუსთავის თეატრში ლილი იოსელიანი შექსპირის „ჰამლეტს" დგამდა. ოთარ მეღვინეთუხუცესი ჰამლეტი გახლდათ. მე ჰერტრუდას როლი შემომთავაზეს. ვჭოჭმანობდი, ამ სახეს არ ვთვლიდი ჩემს ამპლუად. ნადიამ მაიძულა მეთამაშნა. მას უყვარდა ჩემი რეჟისორები გიგა ლორთქიფანიძე, ლილი იოსელიანი, სხვები. უყვარდა იმიტომ, რომ ჭეშმარიტ ხელოვნებაში მისი სანუკვარი შვილის — რეზო ხობუას სიცოცხლის გაგრძელებას ხედავდა.

ლაშა თაბუკაშვილის პიესაში „დარაბებს მიღმა გაზაფხულია" ბებია განვასახიერე.

შადიმან შამანაძის „ღია შუშაბანდში" დედა-გიული ვითამაშე. როლი ჩემეულად გავიაზრე. სპექტაკლი მარლენ ბესტავაშვილმა დადგა. ქალის როლის საუკეთესო შესრულებისათვის წლის პრემია დავიმსახურე.

შარშან დეკემბერში სამშობიაროში რძალი წავიყვანე. რუსთავის თეატრში „რვა მოსიყვარულე ქალის" პრემიერა იმართებოდა. ლეილა შოთაძე დგამდა და მეც ვმონაწილეობდი. სად წავსულიყავი — თეატრში თუ სამშობიაროში, ვერ გადამეწყვიტა, შინაურებმა არ დამაყენეს, ნინოს არაფერი გაუჭირდებაო და მეც დავთანხმდი.

— სპექტაკლი ჩინებულად წარიმართა: დასასრულს სცენა ყვავილებით აივსო. ერთ ყვავილების კალათაში ბარათი იდო. წავიკითხე და სიხარულისაგან სუნთქვა შემეკრა: „ია ბებოს- რეზოსაგან". 9 დეკემბერს შვილიშვილი — რეზო ხობუა შეგვეძინა. ამბავი დარბაზს გადაეცა და ორმაგი ზეიმი იყო თეატრის კედლებში. არ ცხრებოდა ტაში, ვიდექ გაოგნებული. ბედნიერება მართლაც ხომ ჰაერივითაა, როცა სუნთქავ, ვერა გრძნობ.

ია ხობუას კინოშიც გაუმართლა, თენგიზ აბულაძის „ნატვრის ხეში" გედიას დედის ჩინებული სახე შექმნა. „ბაკულას ღორებში" ბაკულას ცოლი ითამაშა. დაუვიწყარია მისი თავსაფრიანი დედაკაცი. ხშირად იწვევენ ტაშკენტის კინოსტუდიაში. ცხრა ფილმში ცხრა მთავარი როლი განასახიერა. კიევის კინოსტუდიაში აბუტ ბაკარის „თოვლიან ქორწილში" გადაიღეს.

კინემატოგრაფიის სახელმწიფო ინსტიტუტის სტუდენტმა ქეთინო გუჯაბიძემ (მარლენ ხუციევის სახელოსნო) სადიპლომო ფილმად „მიწა" შეარჩია. მონაწილეობდნენ — თამარ სხირტლაძე, იას ქალიშვილი ხათუნა თავისი შვილებით და ია, რომელიც სულით ავადმყოფს ანსახიერებდა.

თმააკრეჭილი, გრძელი პერანგითა და ხალათით გადაღებაზე გაამგზავრეს. გზაზე მანქანა გაფუჭდა. შემხვედრ ტრანსპორტში გადასვეს. მძღოლმა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მიიყვანა. იამ დადგა მიწაზე ფეხი და ატყდა აურზაური, სანიტრები მისცვივდნენ: სასწრაფოდ შენს პალატაში შედიო. ეს მსახიობის გამარჯვება იყო.

შვილებმა მშობლების გზა აირჩიეს. გიორგი თეატრალურ ინსტიტუტში სწავლობს. ცხრა წლის იყო ფილმში „ნატვრის ხე" პატარა გოგლას როლი რომ შეასრულა. გიგა ლორთქიფანიძის „თეთრ ბაირაღებში" ზაზა ნაკაშიძე განასახიერა, გაზეთებმა ახალგაზრდა მსახიობის ნიჭიერება აღიარეს.

ქალიშვილმა — ხათუნამ თეატრალური ინსტიტუტის სამსახიობო ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა. დაქორწინდა და მეუღლესთან ერთად ორ შვილს ზრდის. ასე ლამაზად გრძელდება მსახიობთა ოჯახის ტრადიცია.

**ეთერ ჯაფარიძე**



„კაცია ადამიანი!" დარეჯანი — ია ხობუა.





„ნეაპოლი მილიონერების ქალაქი". ხათუნა ხობუა.

## სახარება ყმაწვილთათვის

# კეთილშობილი სამარიელი



ერთმა იუდეველმა სწავლულმა ჰკითხა მაცხოვარს: „რა უნდა მოვიმოქმედო, რომ საუკუნო სასუფეველი დავიმკვიდრო“? მან უპასუხა: „კანონში რა წერია?“ სწავლულმა უპასუხა: „შეიყვარე ღმერთი შენი მთელი გულითა და სულით, შეიყვარე მოყვასი შენი, როგორც საკუთარი თავი გიყვარს“. იესომ უთხრა: „შენ სწორედ მიპასუხე. ასევე მოიქეცი და იცხოვრებ საუკუნოდ“. მაგრამ სწავლულმა, თავის გამართლება რომ უნდოდა, ჰკითხა: „კი მაგრამ, ვინაა ჩემი მოყვასი?“

ქრისტემ უპასუხა:

„ ერთ ადამიანს, რომელიც იერუსალიმიდან ქალაქ იერიქონში მიდიოდა, ყაჩაღები დაესხნენ თავს. გაძარცვეს, დაჭრეს და ცოცხალ-მკვდარი მიაგდეს იქვე. ისე მოხდა, რომ იმ გზაზე გაიარა სწავლულმა, რომელიც კანონებს განმარტავდა ხოლმე. მან შეხედა გაძარცვულ ადამიანს, რომელიც სისხლისგან იცლებოდა და ჩაიარა. ასევე ჩაიარა გვერდით მეორე თანამემამულემ. ამ გზაზე მიდიოდა ერთი უცხოქვეყნელი კაცი, სხვა ეროვნებისა. დაჭრილი რომ დაინახა, იგი გაჩერდა, მობანა და შეუხვია ჭრილობები, შესვა თავის სახედარზე და სასტუმროში მიიყვანა. იქ იგი მთელი ღამე უვლიდა მას. დილით, სანამ წავიდოდა, სასტუმროს მეპატრონეს ფული დაუტოვა, რომ მოევლო დაჭრილისათვის და საკვები ეძლია“. იესო ქრისტემ ჰკითხა სწავლულს: „ამ სამიდან, რომელი იყო დაზარალებულის ახლობელი?“ ახლობელი (მოყვასი) ის იყო, რომელიც დაეხმარა გაჭირვებულს, — მიუგო სწავლულმა. მაშინ იესომ უპასუხა: „შენც ასევე მოიქეცი!“

იესო გვასწავლის ჩვენ, რომ ყველა ადამიანი ერთმანეთის ახლობელია, მოყვასია. ისინი უნდა ეხმარებოდნენ ერთმანეთს იმისდამიუხედავად, თუ რა რჯულს აღიარებს, რომელი თემიდანაა ან რომელ ეროვნებას ეკუთვნის.



# მთესველი

იესო ქრისტე თავის მოძღვრებას არა მხოლოდ ქადაგებით ავრცელებდა. იგი ხალხს ხშირად მიმართავდა იგავებით, რომლებშიც მისი მოძღვრება ცხოვრებასთან იყო დაკავშირებული.

აი, ერთი მათგანი:

გამოვიდა მთესველი და თესვა დაიწყო, რამდენიმე მარცვალი გზაზე დაეცა. ისინი გამვლელებმა გათელეს და ჩიტებმა აკენკეს. ზოგიც ქვიან ნიადაგზე დაცვივდა, სადაც მიწის თხელი ფენა იყო მხოლოდ ზემოდან. ისინი მალე აღმოცენდნენ, მაგრამ ფესვებით წყალი რომ ვერ იპოვნეს, მალე დაიღუპნენ სიცხისაგან. ზოგიერთები სარეველა ბალახებში ჩაცვივდნენ, და სარეველამ მოაშთო ისინი. სხვა მარცვლები ნოყიერ ნიადაგში ჩაცვივდნენ, აღმოცენდნენ და შესანიშნავი მოსავალი დაამწიფეს.

მარცვალი ღვთის სიტყვაა, ხოლო მინდორი — ადამიანის გული. მრავალი ისმენს ღვთის სიტყვას, მაგრამ ზოგიერთის გულში ეს სიტყვა ნიადაგს ვერ პოულობს და იკარგება. მარცვალი, ქვიან მიწაზე რომ დაეცა, სულმოკლე და არამტკიცე ადამიანებს გამოხატავს. ისინი ღებულობენ ღვთის სიტყვას, მაგრამ პირველივე გასაჭირის ან დევნის დროს უარყოფენ მას. სარეველა ბალახებში ჩავარდნილი მარცვალი ისეთ ადამიანებს წარმოგვიდგენს, რომლებშიც ღვთის სიტყვას მიწიერი სიამოვნებანი ახშობენ. ადამიანები, რომლებიც წმიდა გულით ისმენენ ღვთის სიტყვას და აღასრულებენ მას, იმ მარცვლებსა ჰგვანან, ნოყიერ ნიადაგში რომ ჩაცვივდნენ. მათ უხვი ნაყოფი მოაქვთ თავიანთი კეთილი საქმეებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# როცა ქმარი ღალატობს...

რატომ ხდება ქმარი მოღალატე? როგორ უნდა მოიქცეს ცოლი ამ შემთხვევაში?.. ამ მარად საჭირბოროტო საკითხებზე გვესაუბრება ინდოელი პროფესორი ქალი **პრემა ბალი**. ვფიქრობთ, მისი დაკვირვებანი და რჩევები არც ჩვენი ქალებისთვის იქნება უცხო და მიუღებელი.



ოჯახური სიმშვიდის დარღვევის ყველაზე უფრო მტკივნეულ მიზეზად ღალატი მიიჩნევა. ჩვეულებრივ, ქალები მეუღლეთა ღალატს უფრო მოთმინებით ეკიდებიან, ვიდრე — მამაკაცები, მაშინ როცა ეს უკანასკნელნი ძალზე ხშირად ღალატობენ ცოლებს, ხოლო ქალები თავიანთ ქმრებს — იშვიათად. რა არის ამის მიზეზი?

**ა. ცოლის ნაკლოვანებებით გამოწვეული მიზეზებია:**

1. უუნარობა, შეეგუოს ქმრის შეხედულებებს, მის ხასიათს, ჩვევებს. ამას ცოლ-ქმარი ემოციურ შეუთავსებლობამდე მიჰყავს.
2. გულცივობა, არარომანტიულობა, სექსუალური ქცევის არცოდნა. ყოველივე ეს მეუღლეთა სექსუალურ შეუთავსებლობასაც განსაზღვრავს.
3. ექსცენტრული ჩვევები.
4. ქრონიკული დაავადებების გამო უქეიფოდ ყოფნა.
5. გაუთავებელი ბუზღუნი, მბრძანებლური ჩვევები.
6. უუნარობა, მოაწონოს თავი მამაკაცს, ანდა ფიზიკური ნაკლი.
7. განვითარების პრიმიტიული დონე, რომელიც ჩამორჩება ქმრისას.
8. სამსახურით ძალზე დაკავებულობა, რის გამოც არ ჰყოფნის დრო და მოთმინება ქმართან ურთიერთობისათვის.
9. უკომპრომისობა, როცა არ ძალუძს მცირეოდენი დათმობაც კი.
10. ქალის გულგრილობა სექსისადმი (ფრიგიდულობა).

**ბ. მიზეზები, რომლებიც ცოლის ყოველგვარი ღირსების მიუხედავად, მაინც წარმოიშობა.**

1. ქმრის მერყევი ხასიათი და ჩვეულება გაეარშიყოს ყველა სანდომიან ქალს.
2. ხასიათის ერთგვარი თავისებურება, მერკანტილურობა, რომელიც უბიძგებს ღალატისაკენ.
3. ფიზიოლოგიური ასპექტი: აგრესიული სექსუალური მოთხოვნილება, რომლის სრულად დაკმაყოფილება ცოლს არ შეუძლია.
4. ქმრის ლოთობა, ან ნარკომანობა.
5. სამსახურის გამო ხშირად გამგზავრება და ოჯახის დიდი ხნით დატოვება.
6. ზოგიერთ კულტურაში საყვარლების ყოლა მამაკაცის სიძლიერის სიმბოლოდ აღიქმება. ასეთი მამაკაცებისათვის სხვა ქალებთან სექსუალური ტკბობა ჩვეულებრივი მოვლენაა.

როგორია ღალატის პირველი ნიშნები?

როცა მამაკაცი ცოლს პირველად ღალატობს, თავიდან დანაშაულის გრძნობა იპყრობს. ამ დროს იგი უჩვეულოდ იქცევა: შეიძლება იყოს ძალზე პასიურიც და აგრესიულიც, შეიძლება ცოლის მიმართ მეტისმეტად გულუხვიც გახდეს. დროდადრო დაბნეულია, ზოგჯერ კი ისეთ გულითადობასა და მზრუნველობას იჩენს, რომ ცოლს ეს ვერაფრით აუხსნია. იგი იწყებს ქმრის გამოკითხვას, ქმარი კი ან თავს არიდებს, ან მიკიბულ-მოკიბულად პასუხობს. რა თქმა უნდა, ცოლს სიმართლეს ვერ ეუბნება. ხშირად ქმარი ცოლში ნაკლოვანებებს ეძებს, ყოველ წვრილმანზე შარიანობს, ამის გამო შიდა დისკომფორტი მატულობს, ხოლო ქმარი უფრო და უფრო გაღიზიანებული და დაძაბული ხდება.

როგორ მოვიქცეთ, როცა ქმრის ღალატს გავიგებთ?

რა თქმა უნდა, როცა ქალი ქმრის ღალატს შეიტყობს, პირველად შოკში ვარდება, შემდგომ კი რეაქცია სხვადასხვანაირია, ხასიათისდა მიხედვით: უბრალო ქალებს, მით უფრო თუ თავდაჯერებულობა აკლიათ, ეუფლებათ უმწეობისა და შინაგანი სიცარიელის გრძნობა. ცხადია, აქვე ჩნდება საკუთარი თავის სიბრალული და სიბრაზე ქმრის მიმართ. ზოგიერთი ქალი ძალზე შეურაცხყოფილია და პასუხისმგებლობას მომხდარისათვის საკუთარ თავზე იღებს. მაგრამ არიან ისეთი ქალებიც, რომლებიც აგრესიულები, შურისმაძიებლები ხდებიან, ჯიბრზე ღალატობენ ქმარს და ამით ოჯახის დაშლას უფრო აჩქარებენ.

რაც შეეხება ინტელიგენტ და მომთმენ ქალებს, ისინი ნაჩქარევად არ იჯერებენ ქმრის ღალატს, გარეგნულად სიმშვიდეს ინარჩუნებენ, მის საქციელს უკვირდებიან, აანალიზებენ და ჯიქური კითხვების მიუცემლად ცდილობენ დააზუსტონ ინფორმაციის უტყუარობა. როცა დარწმუნდებიან ქმრის ღალატში, ცდილობენ, ამის გამომწვევ მიზეზებს ჩაწვდნენ და სანამ ქმარზე მოახდენდნენ ზემოქმედებას, უპირველესად საკუთარ თავს ეკითხებიან: იქნებ თვით ჩემშია რაიმეს შეცვლა საჭიროო.

ერთი სიტყვით, აქ ყველაფერს ზედმიწევნით მოფიქრება სჭირდება. თუ ქალს თვითონ არ შესწევს ამის ძალა (უფრო ხშირად ასე ხდება), მაშინ სპეციალისტს უნდა მიაკითხოს, რომელიც ურჩევს, როგორ მოიქცეს, რათა ოჯახი შეინარჩუნოს და თავიდან აიცილოს მძიმე ტრავმა.

თარგმნა **ომარ ესიტაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბიეტა აბშილავა

## შატილში

შატილში ნისლის ნაწოლი
ბალახი ვკოცნე ცვრიანი,
ბექობზე წამომეწია
ფიქრები ომახიანი...

გამოწრიალდა სურვილი
ბარბაცით,
ხსოვნის კარვიდან,
შემომაგება ზმანება,
ასე კდემა რომ ფარვიდა...
შავჩოხიანი ღრუბლები
ქარაფებს შემოახუნდა.
მოულოდნელად ჩემს ქოხში
ზამთარი შემობრახუნდა...

* * *

ვუძღვნი მამაჩემს —
ვიქტორ აბშილავას

ბერმუხას უცებ შეაჟრჟოლა
და შეამცივნა,
როცა სიკვდილმა
გაუმხილა ჩუმად სათქმელი
და ოთხმოცდაოთხ გაზაფხულის
მიწურულს
მამამ
ცა მოგვიღრუბლა,
არსით იყო ხსნა
და საშველი...

## გრიგალმა...

გრიგალმა წუხელ ღრუბელი
ზეცაში დაიმარტოვა,
ნამუსახდილი ქალივით
ატირა და დატოვა...



## ნუ იქმ ცოდვასა

მაცოცხლე,
სანამ მამულის
მე სატკივარი მტკიოდეს.
ისე ნუ გამაღარიბებ,
ჩემს სიკვდილს ერი ტიროდეს.

არ დაუკნინდეს ჯალაბი
ქართველი ქალის მოდგმასა.
ნუღარ მიგვიშლი მამულის
სიყვარულს,
ნუ იქმ ცოდვასა...

## უფალო!

დამიბერდა ლოდინი,
დამიბერდა სევდა,
დამიბერდა ხსოვნა,
დამიბერდა დედა!...
მიბერდება იმედი,
მიბერდება ფერი,
მიბერდება მოყვარე,
მიბერდება მტერი.
ღმერთო,
ჩემო
უფალო!
მიჯეელე ერი...
საქართველოს მიწა-წყალს
არ მოაკლდეს ფერი.

## შენი ტრფიალით!

შენი ტრფიალით გულმკვდარი
დავიწინდები ქარზედა...
არ მოვალ აცრემლებული
არაგვო, მე შენს კარზედა!
არ გეჩვენები ბეჩავად,
ვიმღერებ მომღხენ ხმაზედა.
ფარ-ხმლის ჭერა რომ იცოდე,
გამოგიწვევდი ხმალზედა..
ხელში ფარს არ დავიჭერდი,
ნისლს ავიხვევდი თვალზედა,
შენი ხმლით გულგანგმირული
დაგსვენდებოდი მკლავზედა.
მიმაბარებდი სამარეს,
ჩამოჯდებოდი ქვაზედა,
შენით მკვდარს,
შენვე მიგლოვდი,
ველარ გამცვლიდი სხვაზედა...
მომიგონებდი მალ-მალე,
არ დარჩებოდი ჭკვაზედა!...

## ჩემი ნებიერა

ისევ თამამია,
ისევ ამაყია
ჩემი ნებიერა,
ჩემი ანგელოზი...
ჩემი საფიცარი,
ჩემი საწუხარი.
არის დამამშვენი
მთელი საწუთროსი.
ჩემი სატკივარი,
ჩემი სალაღობო,
ჩემი საქართველო,
ჩემი ძველი ერი...
ღმერთო!
დაიფარე განსაცდელისაგან,
მიეც წარმატება,
მრავალჟამიერი...

## ბედნიერ ვიყავ...

ფშავის არაგვის ძახილზე
მზე ფეხისწვერზე დგებოდა.
გამოვანგრევდი სამარეს,
ფშავის ცვარ-ნამი მრგებოდა...
მზეს ფეხი ლოდზე დაუსხლტა,
ტალღა კოცნიდა, ყვარობდა...
ბობღიავ! მთაში ქორბუდა
ფიქრში გართული ხარობდა
მოამწუხარა ღრუბლებმა.
გულამაყრისკენ ჰქარობდა.
ზურგზე მოიგდებს ხევებს
ქარი.
როდესაც ქარობდა..
ბედნიერ ვიყავ,
სანამდე
ლამაზი ფიქრი მწყალობდა.



მხატვარი მარინე ხატიაშვილი

გი დე მოპასანი

# პატარა

დაქვრივებული ლემონიე თავის პაწია ბიჭუნასთან ერთად ცხოვრობდა. თავმდაბალი, გულღია და მიმნდობი მამაკაცი იყო.

როცა საცოლე ბიჭი იყო, მეზობლის ღარიბი გოგონა შეუყვარდა და შეირთო კიდეც. ვაჭრობდა მაუდის საქონლით, საკმაოდ წარმატებითაც და მხოლოდ ის ჰქონდა საფიქრალი, ახალგაზრდა მეუღლე ბედნიერი ჰყოლოდა.

ლემონიე მეუღლის გარდა ვერავის ამჩნევდა, მუდამ თვალებში შესციცინებდა და ამის გამო ხშირად ათასგვარ უხერხულობაში ვარდებოდა: სადილობისას ღვინოს თეფშზე ასხამდა, წყალს—სამარილეში... მერე ბავშვივით ხარხარებდა და წამდაუწუმ იმეორებდა:

— როგორ მიყვარხარ, ხედავ? შენი სიყვარული რამდენ სისულელეს მაკეთებინებს.

ქმრის თაყვანისცემით უხერხულობაში ჩავარდნილი ქალი თვალს არიდებდა და მოკრძალებული ღიმილით ცდილობდა სხვა რამეზე ელაპარაკებინა. კაცი კი მის ხელს თავისაში მოიქცევდა და ვნებით ეჩურჩულებოდა: — ჩემო საყვარელო ჟანა... ჩემო ძვირფასო ჟანა.

ხუთი წელი ბავშვი არ შეეძინათ, მერე მოულოდნელად ჟანა დაფეხმძიმდა. უსაზღვროდ ბედნიერი კაცი ქალს წუთით არ შორდებოდა. ხანდახან შინამოსამსახურე ქალი სელესტი, რომელიც წლების მანძილზე მათ ოჯახში ტრიალებდა, ძალით გააგდებდა გარეთ და კარს გადაუკეტავდა (სხვათა შორის, ლემონიეც მისი აღზრდილი იყო და ამის გამო თავს მათი ოჯახის წევრად თვლიდა).

ლემონიეს ერთი ახლო მეგობარი ჰყავდა — პრეფექტურის უფროსის მოადგილე ახალგაზრდა დიურტური, რომელიც ჟანას ბავშვობიდანვე იცნობდა. იგი ლემონიეების ოჯახის ხშირი სტუმარი იყო — კვირაში სამჯერ მათთან სადილობდა მეგობრის ცოლისთვის ყვავილებს ყიდულობდა, თეატრში პატიჟებდა.

გრძნობამორეული ქმარი ცოლს ეუბნებოდა:

— ნამდვილი ბედნიერებაა ასეთი ცოლისა და მეგობრის ყოლა...

...ჟანა მშობიარობას გადაჰყვა. ლემონიე ლამის ჭკუიდან შეიშალა, მაგრამ ბავშვის გაჩენამ მაინც ერთგვარი სიმხნევე შემატა, თავდავიწყებითა და მწარე სიყვარულით შეიყვარა პატარა. შვილს თვითონ უვლიდა, აკვანში აწვენდა, დიდხანს ჩაშტერებოდა, თან ათას რამეზე ფიქრობდა, როცა პატარას ჩაეძინებოდა, არშიამოვლებულ საბანზე თავმიდებული ჩუმად ქვითინებდა.

წამოიზარდა ბავშვი და მამა თვითონ ბანდა ხელ-პირს, აჭმევდა, აცმევდა. დიურტურსაც ძალიან უყვარდა ბიჭუნა, ისიც მამასავით გაშმაგებული ეალერსებოდა, ჰაერში ახტუნავებდა, აცეკვებდა, მერე ჩაუწევდა მოკლე შარვალს და პუტკუნა ტაკუნებს ჩაუკოცნიდა. ამის შემხედვარე მამა სიხარულით ბუტბუტებდა:

— ღმერთო ჩემო, რა საყვარელია, რა საყვარელი!

მხოლოდ სელესტი, შინამოსამსახურე ქალი, ღიზიანდებოდა ორი მამაკაცის დაუსრულებელი მოფერებით და შინაურულად ტუქსავდა:

— განა შეიძლება ბავშვის ამგვარად აღზრდა? მისგან მხოლოდ ლამაზ მაიმუნს გამოიყვანთ.

გავიდა კიდევ რამდენიმე წელი. პატარა ჟანს ცხრა სადაცაა შეუსრულდებოდა. იგი უფრო და უფრო ჟინიანი და ჯიუტი ხდებოდა. კაცები კვლავ განუწყვეტლივ ყიდულობდნენ მისთვის სათამაშოებს და ტკბილეულს.

სელესტი ხმამაღლა ბუზღუნებდა:

— სირცხვილია, სირცხვილი ამ ბავშვისგან მხოლოდ უბედურებას მოიმკით და თვითონაც უბედური იქნება. არა გჯერათ? ცოტა ხანი და თქვენს ასეთ საქციელს წერტილი დაესმება. მე თქვენ გეუბნებით, გაფრთხილებთ!

ლემონიე ღიმილით პასუხობდა:

— ხომ იცით, ძიძიკო, ცოდოა, არ შემიძლია რამეზე უარი რომ ვუთხრათ. კარგი იქნება შენც მოგვბაძო.

პატარა ჟანი გამხდარი იყო. ფერმკრთალი, სახეზე ავადმყოფური იერი გადაჰკრავდა. სიხშირეკლულობა დაუდგინეს. ექიმმა მწვადი, სორცი და ბულიონი გამოუწერა, პატარას კი ჰპირიდით სძულდა ყოველივე ეს, მხოლოდ ტკბილეული უყვარდა. უამიდო მამაც ტორტებსა და შოკოლადიან ეკლერებს ატენიდა.

ერთ საღამოს, როცა ჩვეულებრივ სადილობდნენ, სელესტმა წვნიანით სავსე მათლაფა დაუდო წინ პატარას და მტკიცედ უთხრა:

— აი, ბულიონი, პატარასათვის ამის ჭამა აუცილებელია.

შეძრწუნებულმა ლემონიემ თავი დახარა, მიხვდა, საქმე ცუდად რომ წავიდოდა.

სელესტმა ერთი კოვზი წვნიანი გასასინჯად მამას გაუწოდა.

— მართლაც, რა გემრიელია, — ხმამაღლა განაცხადა მამამ.

ბიჭუნამ იჭვნეულად დაყნოსა ბულიონი, მერე დაიმანჭა და ხელი ზიზღით ჰკრა თეფშს. გაფითრებულმა სელესტმა ველარ მოითმინა და ბულიონით სავსე კოვზი ნახევრად ღია პირში ჩაასხა. ჟანის ხველება აუტყდა, წვნიანი გადმოაფურთხა, ღრიალით სტაცა ხელი ჭიქას და მოსამსახურეს ესროლა. ჭიქა მუცელზე მოხვდა. მოთმინებიდან გამოსულმა ქალმა თვალისდახამხამებაში ბავშვის თავი მკლავებში მოიქცია, პირი ძალით გაუღო და წვნიანი პირდაპირ ხახაში ჩაუსხა. პატარას სუნთქვა შეეკრა, ფეხებს აბაკუნებდა, ხელებს აქნევდა, არწყევდა.

მამა გაკვირვებისაგან ჯერ გაქვავდა, მერე გაცოფებული მივარდა სელესტს, შეშლილის სახით ყელში სწვდა და კედელს მიახეთქა არაადამიანური ყვირილით:

— გაეთრიე... მომშორდი!..

ქალმა მუჯლუგუნი ჰკრა ლემონიეს, თავი გაითავისუფლა და წამოიყვირა:

— რა გემართებათ? იმისათვის მცემთ, რომ პატარას წვნიანს ვაჭმევ, რომელიც ასე აუცილებელია მისი ორგანიზმისათვის. თქვენ კი ნამცხვრებით ზრდით და ვერც კი ამჩნევთ, როგორ ღუპავთ?!

აკანკალებული ლემონიე კვლავ თავისას იმეორებდა:

— გაეთრიე... მომშორდი!..

მაშინ თვალებამღვრეულმა დედაკაცმა თვალი თვალში გაუყარა და აცახცახებული ხმით მიახალა:

— აჰ! თქვენ გგონიათ, რომ!.. ასე რომ მექცევით, მე... არა! არამც და არამც... მაინც ვისი გულისათვის, ამ ცინგლიანისათვის, რომელიც სრულებით არ არის თქვენი? ყველამ იცის ეს, თქვენს გარდა, საუბედუროდ, ეშმაკმა დალახვროს... არა გჯერათ? ჰკითხეთ მედუქნეს, მეფუნთუშეს, ყველას, ყველას, მთელმა ქალაქმა იცის, ყველა თქვენ დაგცინით!..

ლემონიეს მკვდრისფერი ედო, სხეულზე უკანკალებდა. რამდენიმე წამის შემდეგ მიმქრალი ხმით გამოსცრა:

— რა თქვი?.. რა თქვი?..

ბატონის სახის გამომეტყველებით შეშინებული სელესტი დუმდა. კაცმა ნაბიჯი წინ გადადგა და კვლავ შეეკითხა:

—რა თქვი?., გაიმეორე, რა თქვი?

სელესტმა ახლა მშვიდი ხმით უპასუხა:

— მე ის ვთქვი, რაც ვიცი, ეშმაკმა დალახვროს, რაც ყველამ იცის.

გამხეცებული კაცი ქალს მივარდა, ეცადა იატაკზე დაენარცხებინა, მაგრამ ქალი, მოუ-

17

საქართველოს ეროვნული

ხედავად წლოვანებისა, ჯანიანი აღმოჩნდა, ხელიდან გაუსხლტა, მაგიდას შემოურბინა და გაბოროტებულმა გადმოაძახა:

— შეხედეთ პატარას, შეხედეთ! რა სულელი ხართ, ნუთუ ვერ ამჩნევთ, რომ ზედგამოჭრილი დიურტურია? აბა შეხედეთ, მაგისი ცხვირი, თვალები, განა თქვენსას გავს? ან მის დედას ჰქონდა მსგავსი ცხვირი და თვალები? აკი გეუბნებოდით, ყველამ იცის, თქვენს გარდა, მთელი ქალაქი ჩუმად ჭორ-ქილებს...

ქალი კართან მივიდა, გააღო და გაუჩინარდა.

პირდაბჩენილი პატარა ჟანი გაუნძრევლად იჯდა წვნიანით სავსე თეფშის პირდაპირ.

ერთი საათის შემდეგ სელესტი უხმოდ დაბრუნდა, რათა ენახა, რა მდგომარეობა იყო სახლში. პატარა ნამცხვრებისა და კომპოტების შესანსვლის შემდეგ მურაბის ქილას მისდგომოდა და ხუფის კოვზით არხეინად მიირთმევდა.

მამა გასულიყო.

სელესტმა ბავშვი წამოაყენა, მოეფერა, თავის ოთახში ფეხაკრეფით შეიყვანა და საწოლში ჩააწვინა. მერე სასადილო ოთახში დაბრუნდა, სუფრა აალაგა და შეწუხებულმა ყველაფერს თავისი ადგილი მიუჩინა.

მთელ სახლში სამარისებური სიჩუმე იდგა. ბატონის კარს მიაყურადა, მაგრამ ჩამიჩუმიც არ ისმოდა, შემდეგ კარის ჭუჭრუტანაში შეიხედა. ბატონი დამშვიდებული ჩანდა, რაღაცას წერდა.

სელესტი სამზარეულოში შებრუნდა, გრძნობდა რაღაც ავისმომასწავებელს და რაიმე უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად მზად უნდა ყოფილიყო... სკამზე ჩამოეძინა და მხოლოდ გამთენიისას გამოეღვიძა. კვლავ ჩვეულ საქმეს შეუდგა — იქაურობა დაგავა, 8 საათისთვის ბატონს ყავა მოუხარშა, მაგრამ მიტანას ვერ ბედავდა, მის ზარს ელოდა. ის კი დუმდა. გახდა ცხრა... ათმაც ჩამოკრა.

დაბნეულმა სელესტმა ლანგარი გაამზადა და ბატონის ოთახისაკენ გულისფანცქალით გაემართა. კარის წინ შეჩერდა, ყური მიადო, კვლავ სიჩუმე. დააკაკუნა, პასუხი რომ ვერ მიიღო, კარი შეაღო და შევიდა, უცებ საშინელი ყვირილი მორთო, ხელიდან ლანგარი გაუვარდა.

ენაგადმოგდებული ლემონიე ჭაღის რგოლზე კისრით ჩამოკიდებულიყო. ერთი ფეხსაცმელი იატაკზე ეგდო. მეორე ფეხზე შერჩენოდა. წაქცეული სკამი საწოლთან დავარდნილიყო.

შეშინებული სელესტი შემზარავი ღრიალით გამოვარდა გარეთ. მოცვივდნენ მეზობლები, ექიმიც გამოიძახეს. ამ უკანასკნელმა დაადგინა, რომ თვითმკვლელობა შუაღამისას მომხდარიყო.

მაგიდაზე წერილი იპოვეს, დიურტურისათვის განკუთვნილი. იგი მხოლოდ ერთ სწკარს შეიცავდა:

„მე თქვენ გიტოვებთ და განდობთ ჟიჟუნას".

ფრანგულიდან თარგმნა
**იონა ბადავიძე**

# კატარა

## „ნინო ჯაფარიძე შეიძლება იყოს ელჩი ამერიკაში"

„დეილი ჰერალდი"

იგი 20 წლისაა. სწავლობს „ვითენ კოლეჯის" საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტზე. გაიზარდა ექიმების ოჯახში.

მამა — შოთა ჯაფარიძე განყოფილების გამგეა მარნეულის საავადმყოფოში. დედა — ლალი ჯაფარიძე თბილისის რკინიგზის საავადმყოფოში მუშაობს.

დაამთავრა პირველი საშუალო სკოლა. ჩაირიცხა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტზე. გააგრძელა მუშაობა მსოფლიო ლაბორატორიაში, რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელია უნივერსიტეტის დოცენტი სოსო ცისკარიშვილი.

პირველ საშუალო სკოლაში ბატონმა სოსომ რამდენიმე მოსწავლე დააინტერესა ამ ლაბორატორიით. ახვედრებდა მათ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსულ სპეციალისტებს. ნინო ზედმიწევნით ეცნობოდა დღევანდელ მსოფლიოს. როგორც კი მოეწყო უნივერსიტეტში, ბატონმა სოსომ ლაბორატორიის რეფერენტად მიიწვია.

აი, აქედან დაიწყო ყველაფერი...

**— ბედის თუ გჯერათ?**

— საოცრად. ბედი ყოველთვის მწყალობს. ჩემი ბედია, რომ ძალიან კარგი მშობლები მყავს. ისინი ჩემი სულიერი მეგობრები არიან. მთელი ცხოვრება ხელჩაკიდებული ვიარეთ მე და დედამ. მერე ჩემს ნებაზე მიმიშვა... მაგრამ ვგრძნობდი, როგორ ღელავდა, სანამ შინ მივიდოდი. იქნებ ამიტომაც გამიჩნდა მძაფრი სურვილი თავი გამომეცადა. წავსულიყავი შორს, მეცხოვრა და მესწავლა დამოუკიდებლად, დავრწმუნებულიყავი ჩემს ძალებში.

1988 წელს პირველად დავადგი ფეხი ამერიკის მიწაზე. მსოფლიო ლაბორატორიის ინიციატივით განხორციელდა მოსწავლეთა გაცვლა საქართველოსა და ამერიკას შორის. ამერიკაში ბევრი კარგი მეგობარი შევიძინე.

გაცვლის წესით მეორედ ვეწვიე ამერიკას დედასთან ერთად, მოვინახულე ძველი ნაცნობები, ბედმა ალექსანდერების ოჯახთან დაგვამეგობრა.

ალექსანდერები შარშან გვეწვივნენ თბილისში. ძალიან შევეთვისეთ ერთმანეთს. ბატონი ჯიმი წიგნების შესაძენად წელიწადში ხუთას დოლარს მაძლევს, ხუთასსაც — მისი მეგობარი.

**— ნინო, როგორ გახდით საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის სტუდენტი? გიოცნებიათ ამაზე? თუ ყველაფერი ისე მოხდა, როგორც ზღაპარში?**

— სწორედ ისე მოხდა, როგორც ზღაპარში. მსოფლიო ლაბორატორიის მოწვევით თბილისში ჩამობრძანდა შვიდი ამერიკელი პროფესორი, შემომთავაზეს მეთარგმნა სალექციო მასალა ლუკას სახარებიდან. თარგმანი კარგი გამოვიდა. მაშინ მკითხეს, წავიდოდი თუ არა ამერიკაში სასწავლებლად. ხუმრობა მეგონა და ხუმრობითვე დავთანხმდი, ასევე — დედაც. (ჩემი მშობლები კარგად ფლობენ ინგლისურს).

რამდენიმე ხნის შემდეგ ამერიკიდან ნაცნობმა პროფესორმა ტესტები გამომიგზავნა, რომლებზეც ამომწურავი პასუხები უნდა გამეცა. ტესტები შეეხებოდა ეკონომიკას, პოლიტიკას, ისტორიას, გეოგრაფიას, ლიტერატურას, ხელოვნებას. მთელი წელი მომდიოდა ტესტები და ვაგზავნიდი პასუხებს. შემატყობინეს, რომ ამერიკის პრესტიჟული უმაღლესი სასწავლებლის საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტზე მოსაწყობად ჩამებარებინა გამოცდები მოსკოვში, ამერიკის საელჩოში. სამი საათი ვაბარებდი გამოცდას, რომლის შედეგიც შეერთებულ შტატებში უნდა შეფასებულიყო. პასუხი სასიხარულო მომივიდა: ჩამრიცხეს კერძო, ქრისტიანული მიმართულების უმაღლეს სასწავლებელში „ვითენ კოლეჯში", რომელიც ილინოისის შტატში.



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# პრეზიდენტი







ჩიკაგოდან 15-20 მილის დაშორებით მდებარეობს. რადგან უმაღლესი შეფასება მივიღე, კოლეჯი დათანხმდა გადაეხადა ჩემი სწავლის ფული — 72 ათასი დოლარი. (4 წლის საფასური).

— **თქვენი კოლეჯის ავტორიტეტულობა მაფიქრებინებს, რომ იქ სწავლება საკმაოდ მაღალ დონეზეა.**

— სწავლა მართლაც ძნელია. მომთხოვნელობა და ცოდნის შეფასების დონე ძალიან მაღალია, იმდენ დავალებებს გვაძლევენ, თავისუფალი დრო თითქმის არ გვრჩება. კოლეჯის დამთავრების შემდეგ სტუდენტი იღებს ბაკალავრის წოდებას. ვისაც მაგისტრის წოდების მოპოვება სურს, უნდა გააგრძელოს უნივერსიტეტის დამამთავრებელი კურსი, კიდევ 3 წელი. ჩემი მიზანიც ეს არის. ახლა მეოთხე კურსზე ვარ. ერთი წელია აქ ვსწავლობ, ამ ერთ წელიწადში 3 კურსის პროგრამა ჩავაბარე. ძალიან დავიტვირთე, მაგრამ არ მიმიტოვებია საცურაო აუზი, ჩიკაგოს საკონცერტო დარბაზები, ჩვენი კოლეჯის ბიბლიოთეკაში სამსახური (კომპიუტერში შემაქვს ახალი წიგნები), შაბათ-კვირას აღმზრდელად მუშაობა ბიზნესმენის ოჯახში და კვირაში ერთხელ ჩემი სურვილით საავადმყოფოში შიდსით დაავადებულებთან მორიგეობა. მაგრამ მთავარი ჩემთვის მაინც სწავლაა. დამატებით ვსწავლობ ეკონომიკას, ესპანურ და გერმანულ ენებს. აუცილებელია ერთ-ერთი აღმოსავლური ენის ცოდნაც. იაპონური ავირჩიე. ყველა საგანში მხოლოდ უმაღლესი შეფასება მაქვს.

— **გავიგე „პატარა პრეზიდენტს“ გეძახიან. იქნებ თქვენს პრეზიდენტობაზეც გვიამბოთ.**

— ვარ უცხოელ სტუდენტთა ასოციაციის პრეზიდენტი. სხვადასხვა ქვეყნებიდან ჩამოსული სტუდენტები ვამყარებთ მეგობრულ ურთიერთობებს, ვაწყობთ ჩვენი ქვეყნის დღეებს. როცა ჩემი მშობლები მესტუმრნენ, საქართველოს დღეები ჩავატარეთ. მამაჩემმა ისაუბრა დღევანდელ საქართველოზე, მის წარსულზე, კულტურაზე. დედამ ჰამლეტ გონაშვილის სიმღერები მოგვასმენინა, ქართული სუვენირები დაარიგა. რადგან ასაკით ყველაზე უმცროსი ვარ, ამიტომაც მეძახიან „პატარა პრეზიდენტს“.

— **საერთაშორისო ურთიერთობის ფაკულტეტის სტუდენტებს ალბათ ხშირად გიხდებათ შეხვედრები პოლიტოლოგებთან, სახელმწიფო მოღვაწეებთან. ვის შეხვდით ამ ერთი წლის მანძილზე და როგორი შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

— შეხვედრები ხშირია, უმეტესად კონფერენციებზე, მაგრამ გამოჩენილი მოღვაწეები ჩვენთან, კოლეჯშიც მოდიან. ორჯერ შევხვდი კარტერს. მას ასეთი შეკითხვა მივეცი:

„როგორ ფიქრობთ, დღევანდელ საქართველოს რა უშველის, რა გამოიყვანს კრიზისიდან“?

კარტერის აზრით ქართველებმა უნდა შეწყვიტონ ერთმანეთთან ბრძოლა და ჩაატარონ საპარლამენტო არჩევნები.

— **გაზეთი „დეილი ჰერალდი“ თქვენს შესახებ წერს, რომ პოლიტიკური მეცნიერების სტუდენტის ნინო ჯაფარიძის მიზანია წვლილი შეიტანოს საქართველოს ნამდვილ დემოკრატიზაციაში და გახდეს საქართველოს ელჩი აშშ-ში, იქვე იტყობინება, რომ დაგიარსებიათ თბილისის პირველი საშუალო სკოლის აღდგენის ფონდი, რომელშიც საკმაო თანხაა შემოსული.**

— დიახ, ეს ასეა. მაგრამ მინდა გაგიმხილოთ ჩემი განცდები: ის, რაც რუსთაველის გამზირზე ვნახე, წარმოუდგენელი იყო. ამიტომ ორკვირიანი არდადეგების შემდეგ დავბრუნდები თუ არა ამერიკაში, მე და ჩემი მეგობრები გავაძლიერებთ მუშაობას ფონდის გაზრდისათვის.

**რატომ ჩამოხვედით სამშობლოში ასე ცოტა ხნით?**

— სწავლის დაწყებამდე თვენახევრიანი პრაქტიკა მაქვს გასავლელი ვაშინგტონში, სოლიდურ პოლიტიკურ დაწესებულებაში. მას „მოაზროვნეთა საკრებულო“ ეწოდება და პენტაგონის ტერიტორიაზე მდებარეობს. იქ მოხვედრა წარმოუდგენელი იყო ჩემთვის, როგორც უცხოელისათვის.

ბედად ვაშინგტონში ერთ-ერთ კონფერენციაზე, შევხვდი პოლიტოლოგებს, პრეზიდენტის მრჩეველებს. ერთ-ერთმა პიროვნებამ, რომელსაც შეეძლო ჩემი პრაქტიკის საქმე გადაეწყვიტა, მკითხა: „დათანხმდებით ჩემთან ასისტენტობაზე?“

მაშინვე დავეთანხმე.

შემდეგ მას დაურეკავს კოლეჯში ჩემს მრჩეველთან, პროფესორ ამსტედთან, რომელსაც შევუქივარ და ასე უთქვამს:

„თუ ამ სტუდენტს პრაქტიკაზე არ მიიღებთ, ახლა თუ არა, ათი წლის შემდეგ ინანებთო“.

და მიმიღეს. ამიტომაცაა ასე ხანმოკლე ჩემი არდადეგები.

* * *

ნინომ პრაქტიკაზე მაღალი შეფასება მიიღო, რაც იმის იმედს იძლევა, რომ იგი შეძლებს კოლეჯის დამთავრების შემდეგ ჯორჯ თაუნის უნივერსიტეტში სწავლის გაგრძელებას.

ნინო ამბობს ბედი მწყალობსო, მაგრამ ისიც ცხადია, რომ თუ არა დიდი შრომა, ნებისყოფა, მიზანდასახულობა და ნიჭი — ასეთი წარმატება წარმოუდგენელია.

ესაუბრა **ლია კაკაბაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ოჯახი: პრობლემა, განსჯა, პოზიცია

# საიდან ამდენი დანგრეული ოჯახი?

### მამამთილის ვერსია

**დიდხანს** ვიკავებდი თავს. არ მინდოდა ჩემი ოჯახის ტკივილი საქვეყნოდ გამომეფინა, მაგრამ რომ არ ვთქვა, ისიც არ შემიძლია. ლამის არის გული გამისკდეს. თავი როგორ მოვიკლა, თორემ სიცოცხლე მობეზრებული მაქვს. ალბათ ასაკის ბრალიცაა, თორემ ომგამოვლილ კაცს, ხშირად სიკვდილისათვის თვალებში რომ ჩამიხედავს, ამის თქმა ნამდვილად არ მეკადრება.

ცოლი გვიან შევირთე. ნათქვამი მქონდა, სანამ ოჯახის რჩენას ვერ შევძლებ, არ დავვოჯახდები-მეთქი. ომიდან დაბრუნებულმა, სანამ ინსტიტუტი დავამთავრე, სანამ სამსახური ვიშოვე, კარგა ხანმა გაიარა. ცოტა ფულიც დავაგროვე, ბინაც ავიშენე. როგორც იქნა, ჩემს ბედსაც მივაგენი. თამარი წყნარი, უპრეტენზიო გამოდგა. ვაჟი შეგვეძინა.

სამსახურიდან სახლში მისვლა მიხაროდა, რაც უნდა დაღლილი და განერვიულებული ვყოფილიყავი, ოჯახური სიმყუდროვე ყველაფერს მავიწყებდა. სწორედ ისეთი ოჯახი მქონდა, როგორზეც ვოცნებობდი.

სწრაფად გაირბინა წლებმა. დათუნა ექიმი გახდა. არ გაგიკვირდეთ, დათუნას რომ ვეძახი, ოცდათხუთმეტი წლის არის, მაგრამ ჩემთვის მაინც ბავშვია. ეჰ, ყველაფერი გადაჭარბებულად ვიცით ქართველებმა...

დროზე მოიყვანე ცოლი, რომ შვილიშვილს ვეღირსოთ, — ყოველდღე ვეხვეწებოდით შვილს.

სიხარულით ცას ვეწიეთ, როცა დათუნამ თავისი რჩეული გაგვაცნო. საწინააღმდეგო რა გვქონდა! ერთი ნახვით მოგვეწონა ხალისიანი, მშვენიერი გოგონა. ლალის ოჯახში მივედით ხელის სათხოვნელად. უზარმაზარ, ძვირფასად მოწყობილ სახლში რომ შევედით, თამარმა უცებ მოიწყინა.

— ჩვენი შესაფერისი არ არის, ვერ შევწვდებით, — ჩამჩურჩულა მან. რას ვიფიქრებდი, თუ მართალს ამბობდა. დედის გულმა წინასწარ იგრძნო მოსალოდნელი უბედურება.

ქორწილის დღე დაინიშნა.

ერთხელ ლალი ჩვენთან იყო, თამარმა უთხრა:

— ნახე, რა ლამაზი საკაბე მომიტანეს შენი საქორწინო კაბისათვის!

— რას ამბობთ. ცხოვრებაში არ ჩამიცვამს აქ შეკერილი კაბა, — უპასუხა ლალიმ.

— მაშინ, ჩემო კარგო; ჩემს შვილს მიყვები ცოლად და ის გიყიდის ათიათასიან კაბას, — თავი ველარ შეიკავა თამარმა.

— თქვენ თუ არა გაქვთ საშუალება, ჩემი მშობლები მიყიდიან, მოგვახალა საპატარძლომ გამომწვევად.

ქორწილის დღეს საუცხოო თეთრ კაბაში გამოწყობილი პატარძალი მართლაც მშვენიერი იყო. თუმცა თამარმა მაინც ჩაილაპარაკა:

— ერთი დღისათვის შეიძლებოდა ამდენი ფულის გადაყრა?

— ნუ გაამტყუნებ. ახალგაზრდები არიან. ახლა უხარიათ ყველაფერი. მათ სწორედ იმ ერთ, გამორჩეულ

# იზაურას ღირსეული მემკვიდრე



**არ შემცდარხართ, ძვირფასო მკითხველო, ნამდვილად მარიანაზე, ჩვენს საყვარელ მარიანაზე გვინდა გესაუბროთ, რომლის მღელვარე ცხოვრების ამბავს, აგერ უკვე რამდენიმე თვეა, თქვენთან ერთად ვადევნებთ თვალყურს.**

**სამშობლოში მას ახლაც მარიანას ეძახიან, თუმცა ფილმის „მდიდრებიც ტირიან“ გადაღებიდან უკვე 13 წელია გასული. მსახიობი ერთხანს თურმე სერიოზულადაც კი ფიქრობდა, შეეცვალა სახელი და ცხოვრებაშიც მარიანა გამხდარიყო. მას შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა.**

**ამ ცოტა ხნის წინ მექსიკაში გამოვიდა ახალი ფირფიტა „რომანტიკული და ანგარიშიანი“ ვერონიკა კასტროს სიმღერებით. და დღეს სწორედ ასეთად იცნობენ ოდესღაც გულუბრყვილო და სენტიმენტალურ მარიანას. ვერონიკა კასტრო საქმიანი ქალია, რომლის აქტიორული პოპულარობა და საქმოსნური პრესტიჟი იმდენად მაღალია, რომ მექსიკური ტელეკომპანია „ტელევისა“ (სადაც ამჟამად პერსონალური კონტრაქტის საფუძველზე შიხი მდიდრული**

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს უნდათ ყველაზე ლამაზები იყვნენ, — დავაშოშმინე ცოლი.

ნათქვამია, რძალს როგორც შეხვდები, შემდგომი ურთიერთობებიც ისე წარიმართებაო· არ ყოფილა სულ მართალი· რაც შეგვეძლო, ყველაფერს ვუკეთებდით, თავზე ვყვებოდით. ჩვენგან არც სითბო და სიყვარული აკლდა და არც საჩუქრები. მაგრამ ეს ჩვენ გვეგონა თურმე ასე. ერთ დღეს ლალიმ კაბა მოიტანა. დათუნამ მე მთხოვა ფული. ექიმის ხელფასი რასაც გაწვდება, კარგად მოგეხსენებათ. უარი ვერ ვუთხარი. ვერც მეორეჯერ ვთქვი უარი, ვერც მესამედ... მაგრამ როცა ამან სისტემატური ხასიათი მიიღო, მაშინ კი...

სწორედ მას შემდეგ დაიწყო ჩვენს ოჯახში უსიამოვნებები. ძვირფასი საჩუქრებით ხომ არ განისაზღვრება ადამიანთა ურთიერთობები? ყოველთვის ვცდილობდი რალაცით მესიამოვნებინა· გაზაფხული იყო. ყოველდღე სამსახურიდან დაბრუნებულს ლალისათვის იების კონა მომქონდა. ერთ დღეს კი ყური მოვკარი ვილაცას ტელეფონზე ეუბნებოდა: ამ ბალახების გადაყრას ველარ აუუდივარო.

წყენა გულში ჩავიმარხე. ოღონდ ჩემი შვილი ყოფილიყო ბედნიერი და ჩემს თავს აღარ ვდარდობდი. დათუნა კი უსაზღვროდ იყო შეყვარებული მეუღლეზე...

მთელი ოჯახი საღამოობით ერთად ვიყრიდით თავს. ყველანი მაგიდას შემოვუსხდებოდით, ლალი კი აგვიანებდა.

— დაღლილია და მალე მოვაო, — ამართლებდა დათუნა. თუმცა ვამჩნევდი, მასაც არ სიამოვნებდა მეუღლის საქციელი. ბოლოს კი ჩვენთან ვახშამზეც არ გამოდიოდა. როცა მიზეზით დავინტერესდი, დიეტაზე ვარო, მიპასუხა.

მუდამ უკმაყოფილო იყო. მაშინ თუ გაიმეტებდა ღიმილს, როცა რამეს ვაჩუქებდით. ყველაფერს ფულით ზომავდა, რაც ჩემი ოჯახისათვის ასე უცხოა.

სათქმელს თავს ვერ ვაბამ, საკუთარი თავის მრცხვენია, ისეთ რამეზე მიხდება ლაპარაკი· მაგრამ იქნებ ვინმემ ჩემი ნათქვამი ყურად იღოს და სასიკეთოდ წაადგეს.

პირველ ხანებში ასე თუ ისე თავს იკავებდა, მაგრამ შემდეგ და შემდეგ აღარავის ერიდებოდა.

ერთხელ ყველანი ტელევიზორს უყურებდნენ. მეც იქვე ვმუშაობდი. ტელეფონმა დარეკა. ლალიმ ყურმილი აიღო·

— დათო, მამაშენს ტელეფონთან სთხოვენ.

— შვილო ლალი, ვფიქრობ, დროა მამა დამიძახო·

— შეიძლება გეწყინოთ, მაგრამ მე მამაჩემის გარდა მამას ვერავის დავუძახებ, — ლალი სწრაფად გავიდა თავის ოთახში, რომ არაფერი მეპასუხა· ან კი რა უნდა მეთქვა...

ჩემი შვილი რომ ბედნიერი ყოფილიყო, ყველაფერს გავუძლებდი. მაგრამ დღითიდღე მათი სიყვარული იცრიცებოდა, ილეოდა, რაღაც წვრილმანზე შეკამათდებოდნენ. კამათი მუდამ ჩხუბითა და ლალის ისტერიკით მთავრდებოდა. ჩვენი ოჯახური „ იდილია" იმით დამთავრდა, რომ ლალიმ ერთ დღეს სრულიად აუღელვებლად გამოგვიცხადა: მეგონა, დათო მიყვარდა. შევცდი და ერთი შეცდომის გამო მთელ ცხოვრებას ვერ გავიმწარებო.

მე და თამარი ბევრს ვეცადეთ, რომ ოჯახი არ დანგრეულიყო. მაგრამ ამაოდ· არ გასჭრა ჩვენმა ხვეწნამუდარამ.

დათუნა კი... შვილს ველარ ვცნობ. გულს ველარაფერს უდებს. მეგობრებსაც გაურბის. მეც ვიცი, ცოლქმრის ჩხუბში არ არსებობს ერთი აბსოლუტურად მართალი და მეორე მტყუანი. ჩემს შვილს ალბათ ჰქონდა რალაც შეცდომები, რასაც მშობლის თვალი ვერ ამჩნევდა· მაგრამ ყველაფერი ხომ შედარებითია. ლოთი არ არის და ნარკომანი. გარეგნობა არ აკლია და ოჯახიშვილობა. ჩანს, ბედი არ ჰქონია ჩემს შვილს... მაგრამ მეორეს მხრივ, გასათხოვარ ქალიშვილს, დედამ ხომ უნდა ასწავლოს, როგორ მოიქცეს ახალ ოჯახში, როგორ მოეპყროს დედამთილმამამთილს. გაუფრთხილდეს ოჯახის სიმტკიცეს, დაზოგოს ქმრის თავმოყვარეობა, ნუ იქნება უმადური, ზოგი რამ მოითმინოს კიდეც· ამას რომ არავინ ასწავლით, იმიტომ მომრავლდა დანგრეული ოჯახები, ნახევრად დაობლებული ბავშვები. ვინმე ფიქრობს კი იმაზე, რომ ჩვენს პატარა ერს ამით ცუდ სამსახურს უწევს?

კარგით, ჩვენ ცუდები ვართ· სხვები? საიდან ამდენი დანგრეული ოჯახი? არ არის ეს ხელწამოსაკრავი პრობლემა.

ვიფიქროთ... ვიფიქროთ.

**მარინე ნაკაიძე**



ოფისი მდებარეობს) თანამშრომლები სიამოვნებით ასრულებენ მის ყოველ სურვილს.

ვერონიკა კასტროს შემოქმედებითი კარიერა 26 წლის წინათ დაიწყო, როცა 14 წლის გოგონა თეატრში მოხვდა. მალე იგი ტელევიზიაში გადავიდა, მუშაობდა დიქტორად, გამოდიოდა რადიოში, მღეროდა. ამ დროის მანძილზე 13 ფირფიტა-გიგანტი ჩაწერა. მუშაობდა არგენტინაში, ვენესუელაში, ბრაზილიასა და იტალიაში, კარგად იცის იტალიური, ცოტა — პორტუგალიური და ინგლისური ენები; ფიქრობს, ისწავლოს რუსულიც, თუნდაც იმიტომ, რომ — „გავიგო შენიშვნები, რომელთაც დროდადრო რუსულად წამოიძახებს ხოლმე ჩემი მენეჯერი ფანი შადი", — ამბობს ვერონიკა.

მსახიობი 20-ზე მეტ ტელენოველაშია გადაღებული. (საოცარია, მაგრამ სწორედ ასე უწოდებენ ლათინურ ამერიკაში კინოს ამ ჟანრს, თუმცა თავისი შინაარსით კინორომანს უფრო მოგვაგონებს), მათ შორის უკანასკნელში „ჩემი პატარა მარტოობა" ვერონიკა კასტრომ ერთდროულად სამი როლი შეასრულა. იგი თავად იყო ამ ფილმის პროდიუსერი. მსახიობს გადაწყვეტილი აქვს მომავალი წლისათვის კვლავაც სცადოს პროდიუსერის როლი, ახალი ტელენოველის ჩანაფიქრიც უკვე არსებობს. ამჟამად კი ტელეკომპანია „ტელევისა" კონტინენტის თითქმის ყველა ქალაქში აწყობს მუსიკალური პროგრამების სერიალს ამერიკის აღმოჩენის 500 წლოვან იუბილესთან დაკავშირებით.

როგორც ხედავთ, ჩვენმა „მარიანამ" ბევრ რამეს მიაღწია ცხოვრებაში, თუმცა როგორც მსახიობი ამბობს, ეს ყოველივე შრომისა და ბრძოლის შედეგია და იგი დღეს იმის ნაყოფს იმკის, რაც წლების წინათ დაუთესია. ასე თუ ისე. ვერონიკა კასტროს დღეს ყველაფერი აქვს: საყვარელი სამუშაო, ფული, ადამიანთა კეთილგანწყობა, პოპულარობა. პირად ცხოვრებაში თავისუფალი და დამოუკიდებელია, ამ სიტყვის პირდაპირი გაგებით და არც აპირებს რაიმე კონტრაქტის დადებას მამაკაცთან, რადგან თვლის, რომ თუ ადამიანის გვერდით ყოფნა გსურს, ეს მხოლოდ სიყვარულმა უნდა გიკარნახოს და არა გრძნობიერებამ. და რომ მხოლოდ ღმერთი აკავშირებს ადამიანებს და არა ფარატინა ქაღალდზე გაფორმებული კონტრაქტი. ამჟამად მისი გული თავისუფალია და ახალ სიყვარულს ელოდება. პოპულარული ვარსკვლავის ახლობელ ადამიანთა წრე საკმაოდ ვიწროა: დედა — რომელიც მისი საუკეთესო, ფაქტიურად, ერთადერთი მეგობარია და ორი ვაჟიშვილი — ათი წლის მიშელი და 17 წლის კრისტიანი, რომელიც სამი წელი ეუფლებოდა საოპერო ხელოვნებას, მაგრამ მოულოდნელად მიატოვა და ახლა დიდი წარმატებით მღერის როკ-ჯგუფში.

აჰა ასეთია კინოგმირი რეალურ ცხოვრებაში. ვფიქრობთ, ძალიან არ გაგცრუებიათ იმედი და კვლავაც სიყვარულით შეხვდებით მის გამოჩენას ეკრანზე, მით უფრო, რომ ტელესერიალი 249 სერიისაგან შედგება და ალბათ ჯერ კიდევ ბევრი გასაჭირის გადატანა მოგვიწევს მარიანასთან ერთად.

თარგმნა **ლია ენუქიძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დაკარგული საფლავები

# მგონია იაც ამოვიდოდა

საფო მგელაძე „ჩემი ცხოვრების ნამდვილ ამბავში“ წერს:

ამას წინათ ერთმა ახალგაზრდა ქალმა, დამწყებმა პოეტესამ ასე მომწერა: „სულ ცოტა ხანია, რაც გიცნობთ, მაგრამ ამ ცოტა ხანმაც მომცა საშუალება, რომ მეფიქრა, — თქვენ უუცნაურესი ადამიანი ხართ ამ ქვეყნად. მე მომწონს, მიყვარს თქვენში ეს ლამაზი უცნაურობა. მე მძაგს შაბლონურობა, გაცვეთილი, მოსაწყენი შაბლონურობა და პატივს ვცემ ყველაფერ იმას, რაშიც მოჩანს ლამაზი სიახლე, ვისშიც მეტყველებს ახალი სული. ასეთ ადამიანთა შორის თქვენ ყველაზე თამამად შეგიძლიათ ატაროთ ორიგინალური ადამიანის სახელი თქვენი ცხოვრებით, თქვენი რომანებით, ლექსებით, პოემებით და იმ პატარა, ჯერ კიდევ გამოუქვეყნებელი ნარკვევით, რომელსაც თქვენ „დედაკაცი და მამაკაცი“ უწოდეთ.

— იცი, ვინ მინდა ვიყო?! შემეკითხა ერთხელ ეს გოგონა და პოეტური აღფრთოვანებით თვალებში შემომხედა.



— ვინ?!

— მე ლიანა ლორდია მინდა ვიყო. —

ისეთი ბავშვური გულუბრყვილობით ითქვა ეს „მე მინდა“, რომ უნებურად სიცილი დავიწყე. სიცილი იშვიათი ხილია ჩემს ცხოვრებაში და როცა ათასში ერთხელ ვინმე გამაცინებს, მე მას ამისათვის მადლობას ვეუბნები ხოლმე. ეს ქალიშვილი მოვიდა ჩემთან, ჩემს ბინაში, არ შემიძლია იმისი თქმა, რომ მე მას მხიარულად დავუხვდი.

— თუ გიყვარდე, შორს დადექ ჩემგან, ძალიან ცივი ბუნებისა ვარ, — ვუთხარი მას და ჩემს ხმაში მოუთმენლობა უფრო მეტი ისმოდა, ვიდრე სიხარული. ოდნავ შეკრთა, დაფიქრდა, მაგრამ მალე ისევ გათამამდა და ჩემს ოთახში ლექსების ისეთი კორიანტელი დააყენა, რომ მე უნებურად სმენად გადავიქეცი. მას ეტყობა ნიჭი აქვს, გაბედულება და ის გადაჭარბებული სითამამეც, რაც აუცილებელია ქართველი მწერლისათვის.

მეორედ ხელოვნების სასახლეში შევხვდი, ერთ-ერთი მოხსენების დროს. ქაღალდის ნახევს მიგზავნის, იქ ასე სწერია: „რომ იცოდეთ, როგორ მინდა კვლავ თქვენთან საუბარი, მაგრამ ეს ხომ არ მოხერხდება?!“

„ერთი კვირის შემდეგ — როცა გინდა“, — მივწერე პასუხად. წაიკითხა და სიხარულის ისეთი ტალღა მოეხვია მის სახეს, რომ მე ოდნავ გავვოცდი კიდეც, ვერ გავიგე, რა იზიდავდა ამ გოგონას ჩემკენ, გულგრილობა თუ ის უზომო გულწრფელობა, რომელსაც მასთან საუბრის დროს ვამჟღავნებდი.

მესამედ ქუჩაში შევხვდი.

— საით მიდიხართ? — მეკითხება ის.

— აბრეშუმის ფაბრიკაში.

— ნება მომეცით, მეც თქვენთან წამოვიდე.

— რატომ? მე განსაკუთრებული საქმისთვის მივდივარ, შენც ხომ საქმე არ გაქვს იქ?

— არა, მაგრამ მე თქვენთან წამოსვლა მინდა.

— მე კი მარტოობა მინდა და თან ახლა ვერ წაგიყვან, ნახვამდის, — ამ სიტყვებით ავტობუსში შევედი, მოვბრუნდი და რას ვხედავ, ეს გოგონა ჩემს გვერდით დგას და ცუღლუტი ბავშვივით იცინის. რა უნდა მექნა? მეც გავიცინე და ერთის ნაცვლად ორი ბილეთი ავიღე.

— რა ჯიუტი ყოფილხარ, ეს ხომ პატარა თავხედობაა?! — ვეუბნები მას და მიკვირს, რომ ამ ქალს ამდენი გამბედაობა აქვს.

— თქვენ მე მაპატიებთ ამ პატარა თავხედობას, — მეუბნება ის და ეტყობა უხარია, რომ მძლია და მაინც თავისი გაიტანა.

— შენი ჯიუტი ბუნება თავდებია მომავალი გამარჯვებისა, — ვუთხარი მას. და მართლაც, ამ თამამ ქალს ადვილად ვერავინ დაჩაგრავს. მე ასე მგონია. თუ პოეტი მოერია ქალს, ის გაიმარჯვებს, თუ ქალი — პოეტს, ის დამარცხდება. ოჯახი და ქალობა ასუსტებს ნიჭს და ძირს უთხრის პოეტურ აღმაფრენას. ვფიქრობ, რომ ის ამ დაბრკოლებას გადალახავს და თუ ეს ასე მოხდა, ის შეიტანს წვლილს ქართულ ლიტერატურაში და ახალ ადამიანებს ახალი სიტყვით ააღელვებს.

საფო მგელაძის ეს სიტყვები და ზემოთ მოყვანილი წერილი ეკუთვნის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტს, თელაველ ქალიშვილს ანო შიუკაშვილს. იმხანად ამ გოგონას მე ვხვდებოდი. შავი ცეცხლოვანი თვალებით უფრო ბოშა ქალს მაგონებდა. ბუნებით კეთილი და კარგი ქართულით მოლაპარაკე ანო ხშირად მეტყოდა: — რა ბედნიერი ხარ, რომ საფო მგელაძე შენი დედაა. ყოველდღე რომ შემეძლოს მისი ნახვა, ხომ ბედნიერი ვიქნებოდი?!

თუმცა მას არავინ უშლიდა საფოსთან ახლოს ყოფილიყო. ხშირად მათი საუბრები მთელი დღე გრძელდებოდა, ხანდახან ღამეც გაუთევიათ ღია აივანზე, რომელიც კოჯრის გზას გაჰყურებდა. თუ როგორ უყვარდათ ერთმანეთი მწერალსა და მის მკითხველს, ამას ჩვენ გვიჩვენებს ნაწყვეტები წერილებიდან და ის ერთადერთი ლექსი, რომელიც ჩვენს ოჯახში ინახება.

„...თქვენმა წერილმა საამური აკორდივით ჩამორეკა და მაგრძნობინა სიხარული, განცდასთან ერთად ღრმად ჩამაფიქრა კიდეც და დარდიანი თვალებით გამახედა იმ სივრცეში, რომლის დარკინულ ზღურბლთა იქითაც გამოსჭვივის ადამიანთა შეცნობის შეუცნობელი ამოცანა. თქვენს წერილზე მე ვრცელი პასუხის გაცემა მინდოდა, მაგრამ მაკავებს შიში იმისა, რომ ვაი თუ, ამ წერილმა თქვენამდე ვერ მოაღწიოს და არ მინდა წაუკითხავი უკვალოდ დაიკარგოს. რა უსასტიკესი სასჯელი მომანიჭა ბედისწერამ, რომელიც მე უთუოდ მწამს. ყველაფერს გაძლება უნდა, იქნებ მეც ავიტანო... „ეჰ, ვინ იცის, მომავალში რა მოგველის, ან წინ რა ძევს“ (საფო მგელაძე „რას ამბობს თერგი“).

„აქაც გაცრეცილი დღეებია, წვიმს და ქარი უბერავს, ლამლამობით სიჩუმეა. ამ პატარა პროვინციულ ქალაქში ჩემთვის სრული სიმარტოვე და სიცარიელეა. ნახვამდის, მომავალ შეხვედრამდე. ანო 1936 წ. აგვისტო“.

1936 წლის სექტემბრის პირველ რიცხვებში საფო მგელაძე ყოფილ არამიანცის საავადმყოფოში, აგონიაში ჩავარდნილი, სიკვდილს ებრძოდა. დერეფანში ანო გამოჩნდა, ღიმილით მოდიოდა, ხელში მოზრდილი ბოხჩა ეჭირა, ოთახში შემოვიდა თუ არა, ღიმილი ბაგეზე შეაკვდა, ბოხჩა გადააგდო. ყურძენი და ჩურჩხელები იატაკზე გაიფანტა.

საწოლთან ჩაიჩოქა და მის ხელს დაეკონა.

— ძვირფასო, ანო ვარ, ანო! აბა შემომხედე, — ჩასძახოდა მომაკვდავს.

თითქოს წამწამი შეირხა, თითქოს რაღაც იგრძნო, მაგრამ მხოლოდ ერთი წამით.

1936 წლის 12 სექტემბერს საფო მწერალთა სასახლეში ესვენა. უამრავი ხალხი დაესწრო დაკრძალვას, საპატიო ყარაულში იდგნენ მისი მეგობრები, მკითხველები, მწერლები. ჩვენ — მისი შვილები რომ უზომოდ მწუხარენი ვიყავით, ეს გასაკვირი არ იყო, მაგრამ ანო?! იგი თავის თავს არ გავდა. ჩამქრალი თვალებით იდგა ჩვენთან ერთად, ცრემლი გაშრობოდა და გაფითრებული დასცქეროდა მისთვის საყვარელ სახეს, რომელსაც სიკვდილი ვერ მორეოდა, ვერ დაემახინჯებინა.

სიტყვით გამოვიდა მწერალთა კავშირის მდივანი სანდრო ეული. სხვათაშორის მან თქვა: „ქართველ მწე-

რალ ქალთა შორის საფო მგელაძეს საპატიო ადგილი ეჭირა“.

— და მერე ამისთვის მოჰკალით?! — ჩაიქვითინა ანომ.

ახალგაზრდობამ მწერალთა კავშირიდან ვაკის ახალ სასაფლაომდე ხელით მიიტანა მისი ნეშტი. შავადმოსილი, დიდი მანქანის ძარაზე კი გულწასული ბებიაჩემი ქრისტინე კანდელაკი ესვენა. ანოს ვალერიანის წვეთები წამოელო, ბაბუაჩემმა — იოსებ გიგინეიშვილმა ცრემლიანი თვალები მიაპყრო მას და უთხრა:

— ანო, ბაბუ! ნუ შეწუხდები, არ არის საჭირო, დღეიდან ჩვენს ცხოვრებას აზრი არა აქვს.

გათხრილ სამარესთან სიტყვები წარმოსთქვეს... პირველი ანო შიუკაშვილი იყო, რომელმაც საკუთარი ლექსი წაიკითხა.

### საფო მგელაძის ხსოვნას

თქვენ იქნებით მუდამ ახე, ამ სამარის
ვიწრო თალში,
ველარ იგრძნობთ მუსიკის ხმას, მოზუზუნე
ქარის ხმაში.
გულს ფიქრებად დაგაწვებათ მოღუშული
ზამთრის ღამე,
დანისლული ლურჯი მთები და ცის სივრცე
მოკამკამე.
და მე მახსოვს ის ამბავი, რომ ითვლიდით
ბოლო წამებს,
წყლული უფრო აწუხებდა მაგ თქვენს
ნხეულს განაწამებს...
და მინდოდა ერთხელ კიდევ, გეთქვათ
ჩემთვის სიტყვა რამე,
ხანამ თქვენ სულს დაიპყრობდა საუკუნო
ბნელი ღამე.
მაგრამ უკვე გვიან იყო, აღარ გქონდათ
ამის ძალა
და ეს ჩემი სურვილები ჩაიფერფლა,
ჩაიშალა...
და... გათავდა ყოველივე, შეწყდა მაჯის
მძლავრი ცემა,
სიკვდილისწინ მოცელილი კიდევ ბევრი
დაეცემა.
გაზაფხულზე ფრთებს გადაშლის მჩქეფარე
და თეთრი დილა,
თქვენ კი გული აღარ გიცემთ, მიწამ იგი
გააგრილა.
ჩემო დარდო, ჩემო ფიქრო, გთხოვ იძინო
მშვიდად, წყნარად,
მე კი დამრჩეს ეგ საფლავი, მარად მუხლის
მოსაყარად.

დასაფლავების მეორე დღეს ანო ჩვენთან მოვიდა და გვითხრა:

— იცით, მთელი ღამე არ მიძინია, საფო მეძახდა, თავისთან მიხმობდა, დილით ადრე ავდექი, ყვავილები ვიყიდე, წავედი მასთან, ველაპარაკე, ასე მგონია, ისიც დავამშვიდე და ცოტათი მეც დავმშვიდდი... როცა იგი ცოცხალი იყო, მის მაგივრობას ვერავინ გამიწევდა, დღეს კი ვფიქრობ, რომ ერთადერთი ნუგეში ჩემთვის თქვენთან სიახლოვეა, საფოსთან უფრო ახლოს ვიგრძნობ თავს. ჩვენც — მე და ჩემი და ნინო ანოს გარეშე ობლად ვრჩებოდით. იგი ხომ ჩვენი დედის ენით ლაპარაკობდა, მისი მოგონებით ცოცხლობდა, უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებდა მასთან სიახლოვე, მაგრამ დიდხანს არ გაგრძელებულა ჩვენი მეგობრობა, ანო მოსვლას აგვიანებდა. მივიკითხ-მოვიკითხეთ და ერთმა თელაველმა ქალმა გვითხრა საშინელი თავზარდამცემი ამბავი — ანო დააპატიმრეს, არავინ იცის სად წაიყვანეს, წაიღეს მისი ლექსები, დღიურები, წიგნები, არ დატოვეს არაფერი, რასაც მისი სახელი ერქვაო.

...და გაქრა ეს მშვენიერი გოგონა, რომელსაც ნიჭის გარდა არავითარი დანაშაული არ მიუძღოდა არც ხალხისა და არც სამშობლოს წინაშე. ვინ იცის, მისგან როგორი მწერალი დადგებოდა?! მაინც არ ჩაქრა მისი ხსოვნა. დღევანდელ გაზაფხულზე, როდესაც ამ წერილს ვწერდი, ასეთი ფიქრი მომეძალა. სადღაც შორეული ქვეყნის ხრიოკ მიწაში გალხვა მისი ძვლები და ანოს გამდნარი სხეულიდან იამ გამოანათა. ამ გამონათებას გავს მისი წერილები და ერთადერთი ლექსი, რომელიც ჩვენმა ოჯახმა შთამომავლობას შემოუნახა, სადაც ნათლად ჩანს უდროოდ დაღუპული ქალიშვილის ამბოხებული სულის ძახილი.

**შუშანა მგელაძე**



## კროსვორდი



შეადგინა **ციალა ამაშუკელმა**

თარაზულად: 8. ძველი სლავური ენის ერთ-ერთი ანბანი. 9. ეპიკური პოეზიისა და მჭევრმეტყველების მუზა ბერძნულ მითოლოგიაში. 11. ზოგი ცხოველის ძვლოვანი წანაზარდი თავის ქალაზე, 12. იტალიელი კინომსახიობი. 13. გახეხილი ბოსტნეულისა ან ხილისაგან მომზადებული საჭმელი ან ჭარხლის საკმაზი. 14. გალექსილ თქმაში შერჩეული ორი ისეთი მოსაზღვრე სიტყვა, რომელთა შეერთებით გამოდის ახალი სიტყვა. 15. მასა, რომლითაც ფარავენ ლითონის, ხის ან სხვა ზედაპირს. 16. ინგლისელი ქართველოლოგი. 19. წარმოდგენა, სპექტაკლი. 21. ქალის თავსაბურავი, 23. ლამაზად და მკაფიოდ წერის ოსტატი. 24. ჯილდო. 25. ცეცხლის ღვთაება ინდურ მითოლოგიაში. 26. წერილობით ჩამოყალიბებული რისამე შინაარსი. 27. მეტყველების ნაირსახეობა — გადმოცემის თავისებურება, სტილი. 28. რაიმე ელემენტების თანაზომიერი პერიოდული მონაცვლეობა. 30. გ. ჩოხელის ფილმი, 32. ეპოქა, დროის ისტორიული მონაკვეთი. 35. შრიფტების, ანაწყობის სიგანის, სიმაღლისა და სიგრძის საზომი ერთეული. 36. საფლავის ქვის წარწერა.

შვეულად: 1. სპეციალური საზაფხულო კინოთეატრი ამერიკაში. სადაც ავტომობილიდან გადმოუსვლელად უყურებენ ფილმს. 2. კვიპროსის დედაქალაქი. 3. ბგერათა კეთილხმოვანების დარღვევა. 4. სასრიალო საზიდარი. 5. მოლიერის კომედიის გმირი. 6. ბუდი, სიმხურვალე. 7. თოთხმეტტაეპიანი ლექსი. 10. ზევსის ფარის სახელწოდება. 17. იტალიელი კინორეჟისორი. 18. ამერიკელი კინომსახიობი. 20. აღნიშვნა, რეგისტრაცია. 22. თხზულების ან მისი ცალკეული თავის წინ წამძღვარებული ციტატა, ფრაზა. 23. ბოსტნეული მცენარე. 29. დეკორატიული მცენარე. 31. ძვირფასი ლითონი. 32. ზოგიერთი ევროპის ქვეყნის ხურდა ფული. 33. ფუტკრის სახლი. 34. ნიავი.

# კულინარია

### შოპო სალათი

ხამი ქორფა ყაბაყი გათალეთ, დახეხეთ მსხვილ სახეხზე ან დაჭერით წვრილად და თხლად, მიუმატეთ 2-3 ცალი თესლგამოცლილი ბულგარული წიწაკა, 2-3 ცალი ქორფა კიტრი, და ორი მჟავე კიტრი. 4 ცალი პამიდორი (ყველაფერი დაჭერით თხლად და მრგვლად); თხლად და ალყა-ალყა დაჭრილ 2-3 თავ ხახვს გადაავლეთ ქაფქაფა წყალი, შეურიეთ მარილთან ერთად დანაყილი 4-5 კბილი ნიორი, დაასხით 3-4 სუფრის კოვზი ძმარი ან დააწურეთ — 1-ლიმონის წვენი, დაუმატეთ 1 ჩაის კოვზი შაქრის ფხვნილი, ან ნახევარი ჩაის კოვზი შაქრის პუდრი, შეურიეთ თასზე მოთავსებულ ბოსტნეულს და უყავით თქვენი გემოვნებით მარილი. სასალათეზე გადატანის შემდეგ სალათს მოასხით 1 ღვინის ჭიქა მზესუმზირას ზეთი, ზემოდან მოფინეთ მაგრად მოხარშული დაჭრილი კვერცხით და მორთეთ ქინძით, კამით და ოხრახუშით.

### კომბოსტოს კატლეტი

ოდნავ მოხარშული 1 კილო კომბოსტო კარგად გაწურეთ, გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, დააყარეთ 3-4 სუფრის კოვზი თეთრი ორცხობილას ფხვნილი, დაახალეთ სამი კვერცხი, შეაზავეთ 1-2 თავი გატარებული ხახვით, წვრილად დაჭრილი ოხრახუშით, კამით და მარილით, დაანაწილეთ, მიეცით ჩვეულებრივი კატლეტის ფორმა და შეწვით ნებისმიერ ცხიმში.

### კომბოსტოს კატლეტი მცირეოდენი ხორცით

ერთი კილო კომბოსტო კარგად გაწურეთ, გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, შეურიეთ 300 გრამი ოდნავ მოხარშული გატარებული ხორცი, წვრილად დაჭრილი რამდენიმე ღერი ოხრახუში და კამა, ერთი თავი ხახვი და 4-5 კბილი გატარებული ნიორი, ორი ცალი მოხარშული და გატარებული კარტოფილი, 2 კვერცხი, შავი პილპილი და მცირეოდენი ხურნელოვანი პილპილიც; შეაზავეთ მარილით, მიეცით ჩვეულებრივი კატლეტის ფორმა და შეწვით ნებისმიერ ცხიმში.

### ტოლმა მცირეოდენი ხორცით

ოდნავ მოხარშული 200-250 გრამი ხორცი (ნახარში წვენი შეინახეთ) გაატარეთ ხორცსაკეპ მანქანაში, შეურიეთ მსხვილ სახეხზე დახეხილი 2 საშუალო ზომის უმი კარტოფილი, ასევე დახეხილი 2-3 სტაფილო, 4-5 კბილი გატარებული ნიორი და 2 თავიც გატარებული ხახვი, ნახევარი ჩაის ჭიქა უმი წიწიბურა, შავი პილპილი, სურნელოვანი პილპილი, წვრილად დაჭრილი რამდენიმე ღერი ოხრახუში და კამა, შეაზავეთ მარილით, დაანაწილეთ. შეახვიეთ წინასწარ მოწალულ, კომბოსტოს ფოთლებში, ქვაბის ძირი მოფინეთ კომბოსტოს 2-3 ფოთლით, ჩააწყვეთ შეხვეული ტოლმა, დაასხით 2-3 დახეხილი პამიდორი, ერთი ცალი კი — წვრილად დაჭრილი და ცხიმში მოშუშული ხახვით შეზავებული, შემდეგ ხორცის ნახარში. დაახურეთ პატარა თეფში, ზემოდან დაადეთ ქვასანაყი, დაახურეთ თავსახური, შედგით საშუალო სიმხურვალის ცეცხლზე და ხარშეთ 30 წუთი.

### კვახი რძის კრემით

ერთი კილო კარგი ჯიშის კვახი დაჭერით პატარა, თხელ ოთხკუთხედ ნაჭრებად, მოათავსეთ ცხიმწასმულ ტაფაზე, მოაყარეთ ორი სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი, დაახურეთ თავსახური და შედგით საშუალო სიმხურვალის გაზქურაში ან დადგით ნაზ ცეცხლზე. როდესაც მომზადდება, გაყავით ულუფებად, მოათავსეთ მომცრო ზომის ღრმა თეფშებზე და დაასხით შემდეგნაირად მომზადებული რძის კრემი: ორი კვერცხი კარგად ათქვიფეთ სამ სუფრის კოვზ შაქრის ფხვნილთან, შეურიეთ 3 სუფრის კოვზი კარტოფილის ფქვილი, მოათავსეთ მომინანქრებულ ქვაბში, დაასხით ნახევარი ლიტრი ცივი ანადუღარი რძე, შედგით ნაზ ცეცხლზე და ხის კოვზით გამუდმებული მორევით მიიყვანეთ ადუღებამდე. ადუღებიდან ორი-სამი წუთის შემდეგ გადმოდგით და შეგრილებამდე კვლავ ურიეთ კრემს, რათა, არ გაიკეთოს უხეში ნალები. გაცივების შემდეგ მოაფრქვიეთ მცირეოდენი ვანილი.

## ბელაფონტე კვლავ თავის ამპლუაშია



„60 წლის ასაკში დავემშვიდობები კინოს და ესტრადას“, — განაცხადა 50 წლის ჰარი ბელაფონტემ. 10 წლის შემდეგ: „კიდევ 5 წელიც და წავალ“ ხუთი წლის შემდეგ კი დაბეჯითებით თქვა: „ვიდრე მაყურებელს ვუყვარვარ და ვჭირდები, ვიმღერებ და გადავიღებ კიდეც“.

სულ ახლახან ჰარიმ დაასრულა დიდი ტურნე ევროპაში. ტურნემ კიდევ ერთხელ დაამტკიცა მომღერლის დიდი პოპულარობა. თვითონ ჰარი ამას ასე ხსნის: „საქმე ჩემს ფიზიკურ მომხიბვლელობაში როდია, ჩემი მსმენელების უმრავლესობა იზიარებს ჩემს შეხედულებებს. მე კი ვებრძვი უსამართლობას, ძალადობას, რასიზმს, ბოროტებას. ამის უტყუარი დასტურია ჩემი სიმღერები და ფილმები“.

ჰარი დაიბადა დამლაგებლისა და მეზღვაურის ოჯახში. ოჯახი თავის გამოკვებას ძლივს ახერხებდა. დღეს ჰარი მილიონერია. თავისი შემოსავლის დიდ ნაწილს საქველმოქმედო მიზნებს ახმარს, ხშირად მიდის სოციალური დახმარების ცენტრში, დახმარებას უწევს შიდსით დაავადებულებს, ღარიბთა სამზარეულოებს.

ბელაფონტეს უკვე 30 წელია ბედნიერი ქორწინება აკავშირებს ჯულიასთან, რომელსაც ჰარი სანუკვარ ანტიკვარიატს უწოდებს. მათ 4 შვილი ჰყავთ. უფროსი გოგონა შარი — მსახიობია.



რედაქციის მისამართი:
380096, ქ. თბილისი,
მ. კოსტავას ქ. № 14

ტელეფონები:
რედაქტორის
99-98-71;
პ. მგ. მდივნის
99-71-68;
ცნობებისათვის
98-95-79.

მასალა გადაეცა ასაწყობად 8. 08. 92 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 25. 11. 92 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^{1}/_{8}$ ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3. სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 5,3. ტირაჟი 30.000. შეკვ. 1890.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჰოლივუდის კულუარებში

## ჯეკსონთა ოჯახის შავ-თეთრი სკანდალები

ოთხი წელი გრძელდებოდა ცნობილი პოპ-ვარსკვლავის მაიკლ ჯეკსონის დუმილი, და აი, მრავალრიცხოვანი თაყვანისმცემლების, განსაკუთრებით კი მშვენიერთა სქესის წარმომადგენლების გასახარად, მან ახლახან გამოსცა ახალი ვიდეოკლიპი ორიგინალური სახელწოდებით „შავი თუ თეთრი". განსაცვიფრებელი სპეცეფექტების (რომლებიც არაფრით ჩამოუვარდებოდა „ტერმინატორი — მეორის" გადაღების დროს გამოყენებულს) და მათი განხორციელებისათვის დახარჯული უზარმაზარი თანხის მიუხედავად, პროფესიონალი კრიტიკოსები რატომღაც უკმაყოფილონი დარჩნენ. მართალია, სუპერვარსკვლავი შესანიშნავად მღერის და ცეკვავს (ხანაც, მაყურებლის თვალწინ, შავ ავაზად იქცევა), მაგრამ ცენზურა თვლის, რომ „შავი თუ თეთრი" მოზარდთა შორის უაზრო სისასტიკის გაღვივებას უწყობს ხელს, თანაც სექსუალურ ნიადაგზე.

ჯეკსონთა კლანის მეორე წარმომადგენელმა ლა ტოია ჯეკსონმა კი გამოსცა წიგნი, რომელშიც ბრალს სდებს საკუთარ მამას მის გაუპატიურებაში. მაიკლმა გადაწყვიტა ხელი შეეშალა ამ ამბის გავრცელებისათვის. მაგრამ სანამ საკუთარი უსიამოვნებების მოგვარებით იყო დაკავებული, ლა ტოიამ პოპულარობის მოსახვეჭად კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგა — ჟურნალ „პლეიბოიში" გამოქვეყნდა მისი სურათები, რომლებიც ცხადია, არ იყო განკუთვნილი „ოჯახური ალბომისათვის", ერთ-ერთ ფოტოზე შიშველ ლა ტოიას ტანზე მახრჩობელა გველები ეხვევიან. სავარაუდოა, რომ მან ეს პროტესტის ნიშნად გააკეთა, მაგრამ რამ აიძულა საშინელ მონსტრად გამოეყვანა საკუთარი მამა, ამის წარმოდგენა მართლაც ძნელია, თუმცა, რას არ ჩაიდენ მიზნის მისაღწევად. ლა ტოია ჯეკსონს კი მხოლოდ ერთი მიზანი აქვს ცხოვრებაში, გადააჭარბოს პოპულარობით სახელგანთქმულ სუპერვარსკვლავს მაიკლ ჯეკსონს.



მაიკლ ჯეკსონი

****

## მომაჯადოებელი არგუმენტები



სინდი კროუფორდი რიჩარდ გირი

სინდი კროუფორდი, მსოფლიოში ყველაზე ძვირადღირებული მანეკენი ქალი, პირველი და ერთადერთი აღმოჩნდა მათ შორის, ვინც შესძლო ლოგიკურ დასასრულამდე მიეყვანა თავასი ურთიერთობა რიჩარდ გირთან.

შარშან დეკემბერში ლას-ვეგასის მერიაში მათ ერთმანეთს საუკუნო სიყვარული და ერთგულება შეჰფიცეს. „ქორწინების გადაწყვეტილება არც ისე ადვილი მისაღებია, — განაცხადა 42 წლის რიჩარდ გირმა, რომლის გულის მონადირებას მანამდეც ბევრი ქალი ცდილობდა, — მაგრამ სინდი ისეთი მომხიბვლავია, რომ მისმა „არგუმენტებმა" სავსებით დამარწმუნეს ჩემი ნაბიჯის სისწორეში".

საქორწინო ცერემონიალს ესწრებოდნენ მხოლოდ მეგობრები, მათ შორის ცნობილი ფოტოგრაფი ერბ რიტსი, ვის სახლშიც რიჩარდი და სინდი პირველად შეხვდნენ ერთმანეთს. ქორწილის შემდეგ გირი გამოტყდა: „მე კარგად ვხედავ საკუთარ თავს, გიტარით ხელში, ჩემი შვილების წრეში, სინდის გვერდით მთელი ჩემი მომავალი ცხოვრების მანძილზე..."

კიდევ ერთი ვარსკვლავური ოჯახი შეიქმნა შარშან, ახალწლის ღამეს. კოლორადოს შტატის პატარა ქალაქ ტელურაიდში, ახლობლების ძალიან ვიწრო წრეში, საზარადისო ერთგულება შეჰფიცეს ერთმანეთს ტომ კრუზმა და ნიკოლ კიდმანმა. ისინი საიდუმლოდ წარუდგნენ ქალაქის მერს (რათა თავი დაეცვათ ცნობისმოყვარე ჟურნალისტებისა და თაყვანისმცემელთა შემოტევებისაგან) და კანონიერად გააფორმეს ქორწინება. ეს იყო მეტად რომანტიკული საქორწინო ცერემონიალი.

უცხოური პრესის მიხედვით

მოამზადა **ლია ენუქიძემ**

### მე-8 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 1. მენჩიკი. 5. ბასტურმა. 7. დავიდოვა. 10. კევრი. 11. არიანა. 14. ისარა. 16. ფლაგმანი. 18. როხელინი. 20. „ტოხკა". 21. „ხალკო". 22. ატაშე. 23. „რამაიანა". 25. იხპანახი. 27. ასტრა. 29. მილიცია. 31. შტოფი. 32. პიკადორი. 33. დოლბანდი. 34. აზუზენა.

შვეულად: 1. მურაბა. 2. იოვანა. 3. „ლატავრა". 4. ზვარაკი. 6. ტური. 8. დოში. 9. გაფრინდაშვილი. 10. კაფეტერია. 12. რაიხსტაგი. 13. ნარკოტიკი. 15. ამირეჯიბი. 17. მუარი. 19. ელადა. 24. მატერია. 26. აკოლადა. 28. ალყა. 29. მადონა. 30. აბულია. 31. შობა.

Ხ 137/52

ფასი 5 მანეთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ძვირფასო ქალბატონებო!

დიდი იმედი გვაქვს, რომ რეკლამას ჩვენი საყვარელი მამაკაცები უფრო მიაქცევენ ყურადღებას.
წუთით წარმოიდგინეთ: დილით ფოსტა მიიღეთ, სხვა ყველაფერი
გვერდზე გადადეთ, მოუთმენლად გაშალეთ „საქართველოს ქალი" და
უცებ, საკუთარმა სურათმა შემოგანათათ: მეუღლე, დედ-მამა,
შვილები, ძმები გილოცავენ დაბადების დღეს,
პირმშოს შეძენას, ვერცხლის ან ოქროს ქორწილს
და თქვენი ოჯახური დღესასწაულის მონაწილედ
თითქმის მთელი საქართველო ხდება.
აი, სიხარული!



ძვირფასო მამაკაცებო!

## „საქართველოს ქალის"

ფურცლებზე მიულოცეთ თქვენს ძვირფას მანდილოსნებს
დაბადების, ნათლობის, ქორწინების დღე, ბავშვის შეძენა.
გვერწმუნეთ, ამით დიდ სიხარულს მიანიჭებთ მათ.

**ყველას, ყველას, ყველას, ვისაც საჭიროებს რეკლამას**
თუ გსურთ თქვენმა რეკლამამ ყველაზე ეფექტურად
იმუშაოს, მიაკითხეთ

## „საქართველოს ქალს"

იგი საქართველოში ყველაზე დიდი ტირაჟით
ვრცელდება. რეკლამას შეგიძლიათ დაურთოთ
(ან რედაქციას შეუკვეთოთ) ფერადი ან შავ-თეთრი ფოტო

## „საქართველოს ქალი"

თქვენი ყველაზე ულალატო მეგობარია.

ჩვენი მისამართია: მ. კოსტავას ქ. № 14;
ტელეფონები: 99-98-71, 99-71-68

ინდექსი 76178